ალია

N101(3031) 3 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ასოცირების ხელშეკრულების გამო, უხარისხო საწვავის შემოტანა აიკრძალება!

# ღარიბაშვილი დიდ რეპრესიებს იწყებს!



ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან გაბრაზებულია, ჩვენ ხალხს შევპირდით სამართლიანობის აღდგენას და არა დანაშაულში ექჭმიტანილების თარეშს, ყველაფერს აქვს საზღვარი, მე ვიწყებ იმ პირობის შესრულებას, რასაც ჩემს ხალხს პატიოსნად დავპირდი და არც ერთ შემთხვევაში არ გადავუხვევ ხალხისთვის მიცემული დაპირებების გზიდან, სამართლიანობა აღდგება და ამას ყველა დაინახავს.

დასავლელი პარტნიორები ირაკლი ღარიბაშვილის არგუმენტებს ვერ ეწინააღმდეგებიან და ამიტომაც ის იწყებს დიდ რეპრესიებს არა მხოლოდ დამნაშავე რეჟიმის მიმართ, არამედ საკუთარი გუნდის წევრების წმენდით. დიდ რეპრესიებს დიდი საკადრო წმენდა მოჰყვება.

ჩვენი ინფორმაციით, ღარიბაშვილი აპირებს რამდენიმე მინისტრის გაშვებას.

კულუარული ინფორმაციით, ღარიბაშვილს უთქვამს, რომ სექტემბრამდე უნდა მორჩეს დაჭერების სერია, მერე კი მხოლოდ ეკონომიკაზე, წარმოებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უნდა გადავერთოთ.

# „ნაცმოძრაობა“ და მისი კავშირები ქურდულ სამყაროსთან



„არყის ხურუშიანი გივია თარგამაძე, წერას ჰყავს ატანილი... გივი სოციალურ ქსელში შენს პოსტებს ხშირად ვკითხულობ, როცა პრემიერს „პატარა ბიჭად“ მოიხსენიებ, შენი ბიოგრაფიიდან რატომღაც ცუდი ისტორია მახსენდება, ჰოდა, გკითხავ, რა იყო, გივი, „პატარა ბიჭი“ ხომ არ მოგენატრა?“

„სხვათა შორის, თქვენს ქვეშაფსია ლიდერს და მის გარემოცვას ისე მოსწონდა ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, თავისი შინაარსით, რომ თავად შექმნა ამ მოდელის სახელმწიფო, რეკეტი, გატაცება, მკვლელობა, ქონების ჩამორთმევა, „ობშიაკში“ ფულის დადება, მიშა კიდევ უფრო შორს გაფრინდა და ქურდულს ბოზურიც შეურია, ჩაშვება, ფარული გადაღება, გაუპატიურება, აბსოლუტური უსამართლობა და ადამიანების სულიერი გაბახება! ვინ იყო მიშა? თქვენი ლიდერი ერთი ნაბოზარი კურდღელი იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება „კაი ბიჭები“ თავში უბრახუნებდნენ, მას მუდამ ჰქონდა კომპლექსი, რომ ის ვერ შედგა მამაკაცად“

„ბარამიძემ სპეცრაზმითა და 12 ვერტმფრენით დაბომბა ოჯახი, სადაც უდანაშაულო ბავშვებს ეძინათ და ეს სწორედ იმიტომ გააკეთეს, რომ წარმოშობით სვანი, „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ონიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, თავისი ჭკუით დააშინა“



# ღარიბაშვილი დიდ რეპრესიებს იწყებს!

დამნაშავე რეჟიმის გასამართლების დაპირებით მოსულ ხელისუფლებას, სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაგვიანებამ, პარტიას ამოფარებული, გვამებზე მორბენალი კრიმინალური დაჯგუფება, „ნაციონალური მოძრაობა“ იმდენად არაადეკვატურად გაუთავხედდა, რომ წარსულში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის ამ ხელისუფლებას აქეთ გაასამართლებენ! თუკი დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, თუკი ქვეყანამ ევროპული გზა აირჩია, შედეგებიც უნდა დაიდოს!

ევროკავშირის 28 ქვეყნიდან, რომელიმე სახელმწიფოს რომ დაეშვა, პატიმრების გაუპატიურება, სახელმწიფოს მიერ ქონების უკანონო „ახევა“, ბიზნესის მონოპოლია, ადამიანების გატაცება, „ნულოვანი ტოლერანტობა“, შს მინისტრის ცოლის ბრძანებით ვინმეს რომ თმის ღერი ჩამოვარდნოდა, პრეზიდენტს რომ ხაზინა ეძარცვა, საიდუმლო ხარჯებში გაეტარებინა მისი შვილების სწავლების ფული, მისი საყვარელი ქალების დაფინანსება და ა.შ. მთელი ცივილიზებული სამყარო ფეხზე დადგებოდა და რა ხდება საქართველოში? რატომ ჰქვია პარტია იმ კრიმინალურ დაჯგუფებას, რომელიც ფასადური დემოკრატიის მიღმა საკუთარ ხალხს გენოციდს უწყობდა?! გაუგებარია, რატომ ჯდება დებატებზე ქართული „ოცნება“ კრიმინალში ეჭვმიტანილებთან, რისი დამტკიცება სურს „ქართულ ოცნებას“? დამნაშავე უნდა გასამართლდეს, დამნაშავესთან კითხვები მართლმსაჯულებას უნდა ჰქონდეს და არა პარტიას, რომელიც ხალხს რეჟიმის გასამართლებას დაჰპირდა! დამნაშავესთან კოჰაბიტაცია დანაშაულში თანამონაწილეობას ნიშნავს და თუკი პრემიერ-მინისტრი სამართლიანობას დაუყოვნებლივ არ აღადგენს, მაშინ ეს ხელისუფლება მიიღებს ამ კრიმინალებისგან ორგანიზებულ დესტაბილიზაციას, რაც ნიშნავს ქვეყნის დაღუპვას! თუ ხელისუფლება არ გაასამართლებს პარტიის სახელს ამოფარებულ კრიმინალებს, მაშინ ხალხი გაასამართლებს მათ და ეს პროცესი გაგრძელდება ყველგან, საზოგადოების თავშეყრის ადგილებიდან დაწყებული, სადარბაზოებში დახვედრით დამთავრებული...

თუკი საფრანგეთის ექსპრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიმართ არსებობს კითხვები, თუკი მას ფრანგული მართლმსაჯულება „უბედავს“ ბრალის წაყენებას, გიგი უგულავა ხაზინის ქურდბაცაცა ვინ არის, რომ მას ვერ გაუბედოს ქართულმა მართლმსაჯულებამ კითხვების დასმა?! 50 მილიონს გადააჭარბა უგულავას ნაძარცვმა და დასაბმელი ბუღასავით გაჰკივის ქალაქში, ფეხებსაც ვერ მომჭამთო. უგულავა მაგ ფეხის თითებს დაგათვლევინებენ დღეში სამჯერ და მაგ გრძელ ენაზეც ბოქლომს ჩამოგკიდებენ ზონაზე...

„ალიამ“ კულუარულად მოიპოვა ინფორმაცია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან გაბრაზებულია, ჩვენ ხალხს შევპირდით სამართლიანობის აღდგენას და არა დანაშაულში ეჭვმიტანილების თარეშს, ყველაფერს აქვს საზღვარი, მე ვიწყებ იმ პირობის შესრულებას, რასაც ჩემს ხალხს პატიოსნად დავპირდი და არც ერთ შემთხვევაში არ გადავუხვევ ხალხისთვის მიცემული დაპირებების გზიდან, სამართლიანობა აღდგება და ამას ყველა დაინახავს. ჩვენ ვაშენებთ სამართლიან ქვეყანას, სადაც ყველა დაისჯება, მისი იერარქიის თუ სტატუსის მიუხედავადო... კულუარული ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა დავალება მისცა შსს-ს და პროკურატურას, რომ არჩევნების დასრულებისთანავე დაიჭირონ ყველა, ვისაც კი ხალხისა და ქვეყნის გაუბედურებაში წვლილი მიუძღვის, მას პირდაპირ მოუთხოვია, ყველა დამნაშავის დასჯა, ამ ქვეყანაში ყველას და ყველაფერს უნდა დაერქვას თავის სახელიო.

ირაკლი ღარიბაშვილს ველარაფერი შეაჩერებს. როცა ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ მას ჰკითხა, რატომ იყო ქვეყნის ორი ძალოვანი მინისტრი დაპატიმრებული და ხომ არ იყო პოლიტიკური დევნის ნიშნები, მაშინ ღარიბაშვილმა რომპეის უთხრა, მე ვაშენებ სამართლიან, დემოკრატიულ ქვეყანას, სადაც ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მე ან ჩემი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს გადაცდომა რომ მოგვიხდეს და დანაშაული ჩავიდინოთ, ეს უნდა გვეპატიოსო? რომეპი ღარიბაშვილს უსიტყვოდ დაეთანხმა, დასავლელი პარტნიორები ირაკლი ღარიბაშვილის არგუმენტებს ვერ ეწინააღმდეგებიან და ამიტომაც ის იწყებს დიდ რეპრესიებს არა მხოლოდ დამნაშავე რეჟიმის მიმართ, არამედ საკუთარი გუნდის წევრების წმენდით. დიდ რეპრესიებს დიდი საკადრო წმენდა მოჰყვება.

ჩვენი ინფორმაციით, ღარიბაშვილი აპირებს რამდენიმე მინისტრის გაშვებას, ამ ნომერში შეგნებულად არ ვასახელებთ მინისტრების გვარ-სახელებს, რომლებიც საკუთარ სავარძლებს დაემშვიდობებიან. „ალია“ უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ გასაშვებ მინისტრთა სიას, რომელთა მიმართაც პრემიერ-მინისტრს სერიოზული პრეტენზიები აქვს.

კულუარული ინფორმაციით, ღარიბაშვილს უთქვამს, რომ სექტემბრამდე უნდა მორჩეს დაჭერების სერია, მერე კი მხოლოდ ეკონომიკაზე, წარმოებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უნდა გადავერთოთო. წყარო ასევე ამბობს, რომ ღარიბაშვილის გეგმაა, წლის ბოლომდე გაანადგუროს „ნაცები“ და მათგან ქვა-ქვაზე არ დატოვოს. პრემიერის გეგმა ძალიან საინტერესოა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობიდან“ რამდენიმე კრიმინალს იმუნიტეტი იცავს და დეპუტატის მანდატი უდევს, როგორ გაანადგურებს მათ, მაშინ როცა „ქართულ ოცნებას“ არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და მათი იმპიჩმენტი მარტივი არაა. ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გზით წავიდეს...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქის განცხადება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით



საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების პროცესთან დაკავშირებით, საპატრიარქო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის განცხადებას ავრცელებს.

„დღეს, როდესაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზეა და ბევრ შემთხვევაში, იძულებულია, თავისი ქონება ძალზე იაფად გაასხვისოს, ახალი რეალობა დიდი დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს. თავისთავად უცხოური კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება მისასალმებელია, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე ქვეყნის განვითარება. მაგრამ ეს პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს. მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც, პირველ რიგში, ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდასამეწარმეო რესურსების გამოყენების საშუალება.

სახელმწიფომ ერთი წელია სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორებისთვის. მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება სხვა ქმედებების განხორციელებასაც საჭიროებს. მათ შორის, შეღავათიან და გრძელვადიანი სესხების გაცემას“, – ნათქვამია განცხადებაში.

მისი უწმინდესობა, განცხადებაში მიმართავს ხელისუფლებას, სწრაფად მიიღოს ზომები და ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაოს სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა. პატრიარქი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებსაც მიმართავს, „გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხების დაფარვის მიზნით მიწის გასხვისების პროცესი ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

გააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ. ასევე მიმართავს მიწათმოქმედებს, მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მათ და შვილებს შეუნახონ ეს ქონება.

„მიწაზე მომუშავე ადამიანებმა უნდა იცოდნენ ისიც, რომ მათ საქმიანობას დალოცვა სჭირდება. სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა უფასოდ, ყოველწლიურად უკურთხონ ხალხის ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, აგრეთვე, სახლ-კარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშროებისგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს. საერთოდაც, ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევეხიდოთ, განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების საკითხთან დაკავშირებით, კათოლიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაშიც ისაუბრა. (ნიუპოსტი)

## „წინასაარჩევნოდ „პატრიოტთა ალიანსს“ 200 000 ლარზე მეტი არ დაუხარჯავს“



„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, ირმა ინაშვილი იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც „პატრიოტთა ალიანსმა“ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მაღალი დაფინანსება მიიღო. მისი თქმით, პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, ინფორმაცია ფრაგმენტულად გაავრცელა, რამაც აღნიშნული გაუგებრობა გამოიწვია.

„გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „პატრიოტთა ალიანსი“, ერთ-ერთი ფინანსურად ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი პარტიაა და ყველაზე მეტი შემოწირულობები მიიღო. „პატრიოტთა ალიანსს“ 2014 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში არ დაუხარჯავს 200 000 ლარზე მეტი. ვისურვებდი, რომ ჩვენ არჩევნებში 20 მილიონი და მეტი თანხაც დაგვეხარჯა, მაგრამ ფაქტია, რომ 200 000 ლარში ჩატევა მოგვიწია“, – განაცხადა ინაშვილმა. (რეპორტიორი)

## „საჭიროა, მივაწოდოთ ინფორმაცია რუსეთის მხარეს“

როგორ გაგრძელდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ეს იქნება მთავარი საკითხი, რაზეც ქართველი და რუსი ექსპერტები პრაღაში ისაუბრებენ.

შეხვედრა 7 ივლისს აბაშიძე-კარასინის შეხვედრამდე ორი დღით ადრე გაიმართება. ქართველ ექსპერტთა ჯგუფი სამკაციანი იქნება, მისი შემადგენლობა ჯერჯერობით ზუსტდება. ჯგუფს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

„რუსეთს, რა თქმა უნდა, აქვს გარკვეული შეკითხვები, როგორ შეიძლება ასოცირების შეთანხმების პირობებში სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება, ასევე მოხდება დღემდე განვლილი პერიოდის ანალიზი, როდესაც ჩვენ განვაახლეთ ვაჭრობა რუსეთთან, ასეთი შეხვედრა აუცილებელია, ვინაიდან საჭიროა მივაწოდოთ ინფორმაცია რუსეთის მხარეს, რა რეგულაციები არსებობს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# უსამართლო სასამართლო რომ გვაქვს, თეა წულუკიანის ბრალი ყოფილა

**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე.**

– დღეს, როგორც ველოდით, გიგი უგულავას მიმართ აღმკვეთი ღონისძიება არ დააკმაყოფილა სასამართლომ, რაც თავისთავად პარადოქსია, რადგანაც, პიროვნებას, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ედავება პროკურატურა, სასამართლო უშვებს უპრობლემოდ. ისეც გაუგებარია, რატომ ითხოვდა პროკურატურა გირაოს და არა პატიმრობას და ეს სასამართლო როდიდან არის, რომ პროკურატურის არც ერთ შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს? მით უმეტეს, რომ აღმკვეთ ღონისძიებაზეც არ იყო საუბარი, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი: რეალურად, სასამართლო ყოველთვის იქნება იმ პოზიციაზე, რომელზეც იდგა საკაშვილის დროს და რეჟიმის წარმომადგენლებს ის ყოველთვის დაიცავს.

**— რა, არავის გაასამართლებს?**

– შეიძლება პატარა ფიგურები გაასამართლოს, გაწირული ფიგურები, დაბალი რანგის პოლიციელებს ვგულისხმობ, რომლებიც არ საქმეებში ერევა წინა ხელისუფლება, რადგანაც, იმ კასრებში ნაპოვნი 28000 ფაილი მეეზოვეებსა და ოფიციანტებზე არ იყო შექმნილი, მათ შორის იყვნენ მოსამართლეებიც, რომლებიც ამ კომპრომატით ყურებით ჰყავდათ დაჭერილი და რასაც უნდათ, იმ გადაწყვეტილებებს აღებინებენ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ მარტო პროკურატურიდან ზარებით არ ჰყავდათ ეს ადამიანები მიბმული, მათ უნდოდათ, უფრო მყარად ყოფილიყვნენ ისინი მათთან დაკავშირებული და მცირედი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც, ადგებოდნენ და აუმოქმედებდნენ სხვა გეგმას. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ თავიდან იყო შემთხვევა, როცა მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს პროკურატურის გარკვეული შეკვეთები და ეს მოსამართლეები შემდგომში ან გაყარეს, ან ისეთ ადგილას გადაისროლეს, რომ მათ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარდათ. დღეს სასამართლო სისტემას ხელმძღვანელობენ უშიშროებისა და პროკურატურის ყოფილი კადრები.

**— კონკრეტულ მაგალითებს მეტყვით?**



ასეთივე საინტერესო კადრია ვასილ რონიაშვილი, უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, დღევანდელი უზენაესის თავმჯდომარის მოადგილე და სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, რომელიც, ანალოგიურად, ჯერ იყო გენერალური პროკურატურის კადრების სამსახურის უფროსი, შემდეგ დაინიშნა აჭარის მთავარ პროკურორად და იქ ისეთი დომხალი მოაწყო, ისეთი უკანონო გადაწყვეტილებები მიიღო, ადეიშვილი ჩავიდა, რომ სიტუაცია დაელაგებინა.

**„კუბლაშვილი კი ვინც არის, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, არაერთხელ უთქვამს, რომ პირადად სიცოცხლის ფასად არის დავალებული საკაშვილისგან და, გინდათ დამაჯეროთ, რომ ეს ადამიანები წავლენ იმ რეჟიმის წინაღმდეგ, რომელის გამოც აღზევდნენ? ეს ხომ გამორიცხულია? ესენი საცეცებით მართავენ დაბალ რგოლის მოსამართლეებს და, თუ კაი ბიჭია, ერთი ვინმემ მიიღოს გადაწყვეტილება!“**



შედიან ძველი რეჟიმის ინტერესებში, თორემ მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ყოველთვის გამამართლებელი განაჩენი იქნება გამოტანილი.

**— მაშინ რაღას იჭერენ და რა ნერვებს გვიშლიან?**

– ამ ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ ასეთ სიტუაციაში არ შეიძლება არც სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი და არც ლაპარაკი გარკვეულ პრინციპებზე. კი, ხელისუფლება სასამართლოს საქმეებში ნამდვილად არ ერევა, მაგრამ ამ

– კი, ბატონო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე, რომელიც, ფაქტობრივად, მეორე პირია სასამართლო სისტემაში, ჩინჩალაძე კი ზურაბ ადეიშვილის მეგობარია. ის გახლდათ მცხეთის საოლქო პროკურორი და მთელი მცხეთა ჰყავდა აწიოკებული, თუ ვინმეს ქონებას დაადგამდა თვალს, იწყებოდა საქმეების შეთითხნა და მისი დაკვეთის შედეგად უამრავი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში. მაშინ ხომ სოციალისტური შეჯიბრი იყო, ვინც მეტ თანხას შეიტანდა ბიუჯეტში, მეფის კარზეც ის წინაურდებოდა და ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო სწორედ ჩინჩალაძე! სხვათა შორის, ესაა ლეგენდარული პიროვნება, რადგანაც ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ჩინჩალაძე-პროკურორი გამოვიდა და განაცხადა, დუმილის უფლებას ვინარჩუნებო, როგორც პროკურორს, სათქმელი რომ არ ჰქონდა, დუმილის უფლება შეინარჩუნა და სირცხვილია, რომ ეს ადამიანი დღეს ამ თანამდებობაზეა.

ადეიშვილმა იცოდა, რომ ეს ხალხი უსიტყვოდ შეასრულებდა მის დავალებებს და უშვებდა კიდეც ისეთ ადგილებზე, სადაც ბიზნესის სერიოზული გაკულაკება იყო საჭირო. ასევე საინტერესოა ლევან თევზაძე, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოშია და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა, მანამდე თევზაძე შსს-ს გენინსპექციაში მუშაობდა და იყო გოგა ონიანის უშუალო მეგობარი, რომელთანაც, თუ არ ვცდები, ნათელმირონობაც აკავშირებს და ეს ხალხი დღეს მეორე-მესამე ფიგურებია სასამართლო სისტემაში და განაგებენ მას, რაც შეეხება ქვედა რგოლებს, იქაც პროკურატურისა და უშიშროების დაბალი რანგის თანამშრომლები არიან. ანუ ვინც თავს გამოიჩენდა, მათი შემდგომი ადგილი იყო სასამართლო სისტემა.

**— ისე, რას ერჩი, სასამართლო თბილი და კარგი ბუდეა.**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივლიანე ხაინდრავა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა



შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტმა უკვე გამოსცა.

ივლიანე ხაინდრავა 1992-1995 და 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. საპარლამენტო საქმიანობის პერიოდში იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ევროინტეგრაციის კომიტეტის, აფხაზეთის საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციებში „რესპუბლიკური ინსტიტუტი“ და „განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი – პლურალიზმის ცენტრი“, იყო რეიგან-ფასელის დემოკრატიული კვლევების პროგრამის მოწვეული მკვლევარი (დემოკრატიის კვლევების საერთაშორისო ფორუმი, ეროვნული ფონდი დემოკრატიისთვის, ვაშინგტონი, აშშ). 2012 წლიდან – საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის გამგეობის წევრი. ივლიანე ხაინდრავა რესპუბლიკური პარტიის წევრია. (ნიუპოსტი)

## რუსეთის ბაზარზე 134 ტონა ქართული ხილი გავიდა



ამ ეტაპისთვის საქართველოდან 134 ტონა ხილის ექსპორტი განხორციელდა. კერძოდ, კახეთის რეგიონიდან 82 ტონა ატამი და ვაშლატამა, შიდა ქართლიდან 35 ტონა ბალი და გურიიდან 17 ტონა ლურჯი მოცვია ექსპორტირებული.

ქართველი ფიტოსანიტარები ადგილზე მოახდენენ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სერტიფიცირებას და ის ტვირთი, რომელიც დააკმაყოფილებს რუსეთის ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს და თავისუფალი იქნება რუსეთისთვის საკარანტინო მავნე ორგანიზმებისგან, თავისუფლად შევა ბაზარზე.

2014 წლის 26 მაისიდან რუსეთში საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალს მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე მცენარეული წარმოშობის ქართული პროდუქტი – ახალი კარტოფილი (გარეცხილი, სამომხმარებლო შეფუთვით), პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი, კენკროვნები დაემატა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

– კი, მშვენიერი მოსაკალათებელი ადგილია. კუბლაშვილი კი ვინც არის, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, არაერთხელ უთქვამს, რომ პირადად სიცოცხლის ფასად არის დავალებული სააკაშვილისგან და, გინდათ დამაჯეროთ, რომ ეს ადამიანები წავლენ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელის გამოც აღზევდნენ? ეს ხომ გამორიცხულია? ესენი საცეცებით მართავენ დაბალი რგოლის მოსამართლეებს და, თუ კაი ბიჭია, ერთი ვინმემ მიიღოს გადაწყვეტილება! ამიტომ, ვფიქრობ, რომ თუ ხელისუფლება არ მიიღებს გადაწყვეტილებას სასამართლო კორპუსის წინააღმდეგ და არ გაატარებს რეფორმას, არაფერი გამოვა.

**— რა რეფორმა, ქალბატონმა წულუკიანმა დიდი წარმატებით რომ ჩააგდო?**



**„თუ მოსახლეობა დაინახავს მერაბიშვილის, ადეიშვილის, კეზერაშვილის, ახალაიას, უგულავას მიმართ ასეთ დამოკიდებულებას, ცუდი ამბავი მოხდება. ბატონმა პრემიერმა განაცხადა, იმედია, მოსამართლეები გამოსწორდებიანო, მაგრამ არ გამოსწორდებიან და ამის იმედი არ უნდა გვქონდეს!“**

– კი, ივანიშვილმა სწორედ წულუკიანს დაავალა სასამართლო რეფორმის ჩატარება და დასაწყისში აქტიური გამოსვლებიც ჰქონდა კუბლაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ უქნა, გაჩერდა. მახსოვს, არჩევნებამდე წულუკიანმა მოსამართლე დავით კეკენაძეს სასამართლო პროცესზე საკმაოდ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა, მაგრამ ეს კეკენაძე დღეს ისევ მოსამართლეა და რამე შეიცვალა? რა, თავი გაუნათდა ამ მოსამართლეს? სინდისმა შეაწუხა, თუ ნამუსმა? ეს მოსამართლეები დავალებულები არიან წინა ხელისუფლებისგან და თან შეშინებულები, მათი კომპრომატები არ გამომჟღავნდეს და რა სამართალი უნდა მოვთხოვოთ? ერთ მაგალითსაც გეტყვით: ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კონტროლის პალატა ამოწმებდა და უამრავი დარღვევა აღმოჩნდა იგივე ბაჩო ახალაიას, ლომაიას, თავად ადეიშვილის უწყებაშიც, სააკაშვილი ამ დარღვევებს აგროვებდა და, როცა საჭირო გახდებოდა, მაშინ დაიწყებოდა ამ ხალხის გაფუჭება და ანალოგიური ხდებოდა სასამართლოშიც. ამიტომ უნდა გამოვიდეთ იმ ილუზიებიდან, რომ ამ სასამართლოთი ჩვენ რამეს მივაღწევთ! ახლა უკვე კატა-თაგვობანას ემსგავსება ყველაფერი და მერაბიშვილის პროცესი კიდევ, კაცმა არ იცის, რით დამთავრდება, დიდი ალბათობაა, ისიც გაუშვან და ასეთ მძიმე დანაშაულების მქონე პირებს რომ ცოტა ხნით ჩავსვამთ ციხეში, ესაა სამართლიანობის აღდგენა?

**— ხალხს ძალიან აღიზიანებს ეს და, მაშინ დაგვანებონ თავი, ნუღარ აკავებენ.**

– ნამდვილად, ამან შეიძლება, ეს ხელისუფლება შეიწიროს. თუ მოსახლეობა დაინახავს მერაბიშვილის, ადეიშვილის, კეზერაშვილის, ახალაიას, უგულავას მიმართ ასეთ დამოკიდებულებას, ცუდი ამბავი მოხდება. ბატონმა პრემიერმა განაცხადა, იმედია, მოსამართლეები გამოსწორდებიანო, მაგრამ არ გამოსწორდებიან და ამის იმედი არ უნდა გვქონდეს! ხელისუფლებამ გამოიჩინა დიდსულოვნება ამ მოსამართლეების მიმართ, უთხრა, გპატიობთ, რაც ჩაიდინეთ და ახლა დავიწყოთ ყველაფერი ცარიელი ფურცლიდან, იმუშავეთ სამართლიანადო.

არა და ვერ იმუშავებენ ეს ადამიანები სამართლიანად! ვიმეორებ, აუცილებლად უნდა ჩატარდეს სასამართლო რეფორმა, რადგანაც, ჩემი აზრით, პროკურატურამ რაც არ უნდა მასალა წარადგინოს, არ დაკმაყოფილდება, თუ სასამართლო არ გაიწმინდა.. სწორედ ამ მოსამართლეების დროს კანონდებოდა გაუპატიურებები, რადგანაც მოსამართლის ჩაქუჩის ერთი დარტყმით მიდიოდა ადამიანი ციხეში და იქ კი რაც ხდებოდა, ეს ყველა მოსამართლემ იცოდა, ამიტომ იმ ციხის გამაუპატიურებლებზე არანაკლები ბრალი ამათაც მიუძღვით. რაც შეეხება წულუკიანს, ის ყველაზე სუსტი რგოლია ამ ხელისუფლებაში და მას პასუხისმგებლობაც ეკისრება, რადგანაც გენერალი გიორგი კალანდაძე დღეს რომ გარეთაა, ეს წულუკიანის დამსახურებაა. არჩილ კბილაშვილს რომ უტევდა, რა, დაავიწყდა, თავადაც რომ იყო იმ პროკურატურაში? რატომ ჩააგდო რეფორმა?



**„წულუკიანი ყველაზე სუსტი რგოლია ამ ხელისუფლებაში და მას პასუხისმგებლობაც ეკისრება, რადგანაც გენერალი გიორგი კალანდაძე დღეს რომ გარეთაა, ეს წულუკიანის დამსახურებაა. არჩილ კბილაშვილს რომ უტევდა, რა, დაავიწყდა, თავადაც რომ იყო იმ პროკურატურაში? რატომ ჩააგდო რეფორმა?“**

**— რამდენი ხანია მოითხოვენ, რომ ამოქმედდეს სამართლიანობის დამდგენი კომისია.**

– კი, ბატონო, მაგრამ მერე ვინ გადახედავს იმ უკანონო საქმეებს? რა, ის მოსამართლეები შეცვლიან თავის უკანონო საქმეებს? ერთ მნიშვნელოვან ამბავს გეტყვით: როცა ნაციფი მსაჯულების პირველი პროცესი ჩატარდა, თურმე „ჟუჩოკები“ დაუყენეს ამ მსაჯულებს და უსმენდნენ. ეს ამბავი გახეთქეს იქაურმა მანდატურებმა და წულუკიანი იმიტომაცაა ამოსახსნელი, რომ ეს შვიდი მანდატური, რომლებიც გამოვიდნენ და თქვეს ეს ამბავი, სამსახურებიდან გაყარეს. იმის ნაცვლად, რომ წულუკიანს დაებარებინა ისინი და მათი პოზიცია გაეზიარებინა, ახლოსაც არ გაიკარა არც ერთი. ამ დროს მე ვიცავდი ამ მანდატურების უფლებებს და მოხდა ასეთი რამ, დამიბარა ამერიკის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და მახსოვს, ის ჩინოვნიკი გაოგნებული იყო ამ ფაქტის გამო, ეს რა ხდებაო. ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ წულუკიანმა ამ ხალხის გმირობა არ დააფასა და ეს ადამიანები დღესაც კი უმუშევრები არიან, არადა, ვიმეორებ, დაებარებინა და მათთვის მოესმინა მაინც! ამ დროს ეს ხალხი ყვებოდა, როგორ ხდებოდა თითოეული საქმის განხილვა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან და მოსამართლეებზე როგორ ხდებოდა ზეწოლა, თუ როგორ დაჰყავდათ სასამართლო კორპუსი მიშას მხარდამჭერ აქციებზე, ანუ შიდა სამზარეულო ყველაფერი თქვეს და ვინ მოუსმინა?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსსკოე მორეს“ ხიზილალაში მიკრობიოლოგიური დარღვევა აღმოჩნდა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შპს „რუსსკოე მორეს“ მიერ წარმოებულ წითელ ხიზილალაში მიკრობიოლოგიური დარღვევა აღმოაჩინა. სააგენტოს ინფორმაციით, მავნე სურსათის ბაზარზე განთავსებისთვის პროდუქტის იმპორტიორი/დისტრიბუტორი შპს „კანტი“ დაჯარიმდა 1000 ლარით და კანონმდებლობის შესაბამისად სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა და განადგურება დაევალა.

სააგენტომ აღნიშნული ფაქტის შესწავლა მოქალაქის შეტყობინების საფუძველზე დაიწყო, რომელიც აღნიშნავდა, რომ ხიზილალას ნავთობპროდუქტების დამახასიათებელი გემო ჰქონდა. ნიმუშის ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, „რუსსკოე მორეს“ მიერ (დამზადების თარიღი 26.08.2013, ვარგისიანობის ვადა – 20.08.2014) წარმოებული წითელი ხიზილალა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებულია და არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს, კერძოდ: 1,0 გრ პროდუქტში აღმოჩნდა კოლიფორმები, შტ. Aureus და სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები, ასევე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები 2,5X104 კწე/გ და საფუარის სოკოები (ნიუპოსტი)

## ვარკეთილში მამაკაცი ბლაგვი საგნით მოკლეს




შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ვარლამ ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 17 ივნისს ვარლამ ჩ-მ ვარკეთილის დასახლებაში, გახოკიძის ქუჩაზე, შურისძიების ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას, 1969 წელს დაბადებულ გელა ა.-ს ბლაგვი საგნით სხეულზე მძიმე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გელა ა. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ვარლამ ჩ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

## ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით შარშან – 70, 2014 წლის 6 თვეში კი 25 პირია დაკავებული



შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2013 წელს – 70, ხოლო 2014 წლის 6 თვეში 25 პირი დააკავა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სიცრუე და მსგავსი განცხადებების გაკეთება ემსახურება სამინისტროს დისკრედიტაციასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. ქურდულ სამყაროსთან აქტიურ ბრძოლას აგრძელებს და ამის დასტურია მონაცემები და ის ღონისძიებები, რომელიც სამინისტრომ ამ მიმართულებით განახორციელა.

ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში შსს-მ ორი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა, 2013 წელს – ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი, რომლებსაც საკმაოდ დიდი გავლენები ჰქონდათ ე.წ. ქურდულ სამყაროში და ჰქონდათ კავშირები საზღვარგარეთ მყოფ სხვა ე.წ. კანონიერ ქურდებთან. ასევე, ძებნა არის გამოცხადებული ერთ ე.წ. კანონიერ ქურდზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2013 წელს 70 პირი დააკავა, 2014 წლის 6 თვეში კი – 25 პირი. შედარებისთვის, წინა ხელისუფლების დროს, 2011 წელს, დააკავეს ქურდული სამყაროს მხოლოდ 10 წევრი, და არც ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი არ დაუკავებიათ“, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის დაბრუნების შემაშფოთებელი ტენდენცია. (ინტერპრესნიუსი)

## „ჯორჯიას“ ფაქტობრივი მფლობელი დაკავებულია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, „HP“-ს სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე, შპს „ჯორჯია“-ს ფაქტობრივი მფლობელი, გია სამხარაძე დააკავა, ხოლო მისი დამხმარე ვერა სამხარაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგენილია, რომ გია და ვერა სამხარაძეებმა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით კუსტარულად დაამზადეს 324 ცალი ჭავლური კარტრიჯი და მათი გაყიდვის გაადვილების მიზნით, დამზადებული კარტრიჯები შეფუთეს „HP“-ს სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებულ ყუთებში, ხოლო ზემოხსენებულ ყუთებზე კი სასაქონლო ნიშანთან ერთად დაატანეს „HP“-ს ჰოლოგრამა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

# „ნაცმოძრაობა“ და მისი კავშირები ქურდულ სამყაროსთან




„თქვენ ხართ, ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ზურგზე მოსული ძუკნები, „ვარდების რევოლუცია“ ასე წარმატებით არ დასრულდებოდა, თქვენ გვერდით „შავი სამყარო“ რომ არ დამდგარიყო, არც ერთხელ არ გაგიპროტესტებიათ კონკრეტული წყაროების მიერ დასაბუთებული ბრალდება, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს, მიხეილ სააკაშვილს გვერდიდან არ მოსცილებია ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მისმა ბიძამ თემურ ალასანიამ დააკავშირა“

**აი, უკვე მერამდენე დღეა, ბოროტმა გოგობიჭებმა ტვინი წაიღეს, ე.წ. „კანონიერი ქურდი“ რომან ბარბაქაძე, მეტსახელად „რემენა“, საქართველოში კანონის გვერდის ავლით კალაძემ შემოიყვანა და პროკურატურაში უნდა დაიკითხოსო. „ნაცებო“, ახლა „რემნები“ გადაიქიმეთ, ტვინები რომ არ აასხათ და რასაც აქ წაიკითხავთ, კარგად გაიაზრეთ, ვიდრე კახი კალაძის დაკითხვას მოითხოვთ, თქვენით დავიწყოთ.**

**ვინ ხართ და რა ძალების დახმარებით აღმოჩნდით ხელისუფლებაში?**

თქვენ ხართ, ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ზურგზე მოსული ძუკნები, „ვარდების რევოლუცია“ ასე წარმატებით არ დასრულდებოდა, თქვენ გვერდით „შავი სამყარო“ რომ არ დამდგარიყო, არც ერთხელ არ გაგიპროტესტებიათ კონკრეტული წყაროების მიერ დასაბუთებული ბრალდება, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს მიხეილ სააკაშვილს გვერდიდან არ მოსცილებია ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მისმა ბიძამ თემურ ალასანიამ დააკავშირა, ემზარ კვიციანი თითქმის ყველა ინტერვიუში ადასტურებდა ამ ფაქტს და იხსენებდა სასტუმრო „მერიოტში“ სააკაშვილისა და ონიანის შეხვედრას, სადაც მათ რევოლუციის დეტალები გაიარეს. რას შეჰპირდა სანაცვლოდ ონიანს სააკაშვილი? თუ არ გინდათ, რომ გაიხსენოთ, მე შეგახსენებთ. ის ონიანსა და მის გარემოცვას ხელშეუხებლობის გარანტიას შეჰპირდა, თუმცა გაპრეზიდენტებიდან მეორე დღეს მიშაამ ქურდებს შეუთვალა, გაძლევთ რამდენიმე საათს, რომ ამ ქვეყნიდან „დაახვიოთო“... ონიანმა „დაახვია“, თუმცა სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას მან შეუთვალა, შენი დისშვილის მტერი ვიქნები სიცოცხლის ბოლომდეო. „ნაცებო“, ამ მუქარის შემდეგ იყო, რომ თქვენი ქვეშაფსია ლიდერი აფრასიძეების ოჯახს დაერია, მსოფლიოში არსად არ მიაქვთ შეტევა კრიმინალებზე იმ ადგილას, სადაც იმყოფებიან მოხუცები, ქალები და ბავშვები. ბარამიძემ სპეცრაზმითა და 12 ვერტმფრენით დაბომბა ოჯახი, სადაც უდანაშაულო ბავშვებს ეძინათ და ეს სწორედ იმიტომ გააკეთეს, რომ წარმოშობით სვანი, კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, თავისი ჭკუით დააშინა.

იმ პერიოდში, როცა აფრასიძეების ოჯახი ამოწყვიტეს, საქართველოს სხვა კუთხეებში ბევრად უფრო საშიში კრიმინალები თავისუფლად მოძრაობდნენ, თუმცა ასეთი სასტიკი ოპერაცია არ განუხორციელებიათ. მოგვიანებით კი მიხეილ სააკაშვილი ტარიელ ონიანის მტერს „კანონიერი ქურდს“ ასლან უსოიანს, მეტსახელად „დედ ჰასანს“, დაუმეგობრდა. როცა ესპანეთში ტარიელ ონიანის მიმართ მძიმე პროცესები დაიწყო, სააკაშვილმა მისი საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა, რათა დაემტკიცებინა, რომ მასა და ონიანს შორის არანაირი კავშირი არ არსებობდა. ამის შემდეგ „ქურდულ სამყაროში“ ქურდები ორ ნაწილად დაიყვნენ, სააკაშვილი ონიანის ქურდებს განუდგა, „დედ ჰასანის“ ქურდებს კი შეეკრა. სააკაშვილისა და „დედ ჰასანის“ შეხვედრა პირველად ევროპაში, ონიანის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებამდე ორი თვით ადრე გაიმართა. მოგვიანებით კი ისინი ერთმანეთს უკრაინაში შეხვდნენ. სხვათა შორის, თქვენი ქვეშაფსია ლიდერი, დღეს ყველას, „შავსა“ და „წითელს“ უკრაინაში უხმობს, დიდი გავლენები მაქვს და ვისაც რა საქმის წამოწყება გინდათ, ყველაფერში დაგეხმარებითო. ონიანის მტერს, ასლან უსოიანს, იგივე „დედ ჰასანს“, თბილისელი სომხების კონტროლი ჰქონდა ჩაბარებული თქვენი ბინძური რეჟიმის დროს! ცნობისთვის: ასლან უსოიანი რუსეთისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად ითვლება. 2009 წელს უსოიანსა და ე.წ. კანონიერ ქურდს ტარიელ ონიანს შორის, რომელსაც კრიმინალურ წრეებში „ტაროს“ მეტსახელით იცნობენ, კონფლიქტი წარმოიქმნა, რომლის მოსაგვარებლად მოსკოვში „იაპონჩიკი“ ჩავიდა. ვიაჩესლავ ივანკოვმა უსოიანის მხარე დაიჭირა. იმავე წლის ზაფხულში „იაპონჩიკზე“ თავდასხმა განხორციელდა, რომლის დროსაც მიყენებული ჭრილობებით იგი შემოდგომაზე გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას, კონკრეტული წყარო ჰყავს, მაგრამ არ მახსენგადაღება, გაუპატიურება, აბსოლუტური უსამართლობა და ადამიანების სულიერი გაბახება! ვინ იყო მიშა? თქვენი ლიდერი ერთი ნაბოზარი კურდღელი იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება „კაი ბიჭები“ თავში უბრახუნებდნენ, მას მუდამ ჰქონდა კომპლექსი, რომ ის ვერ შედგა მამაკაცად, გაპრეზიდენტების შემდეგ საკუთარ კლასელებს დაერია და ციხეებში ამოალპო, იმიტომ რომ მას ბავშვობაში არავინ ეთამაშებოდა, რასაც ვერ ვიტყვით გიგა ბოკერიაზე. მაგალითად, ბოკერიას ცოლის, თამარ ჩერგოლეიშვილის პირველი ქმარი, რომელიც ძველბიჭურ გაგებას აწვებოდა, სწორედ ბოკერიამ გააპარა საქართველოდან, როგორც კი „ნაცრეჟიმმა“ ნიჩურტებით ბრძოლა გამოუცხადა „შავ სამყაროს“, რატომ ნიჩურტებით? იმიტომ, რომ არც ერთი არჩევნები არ ჩაუტარებია „ნაცმოძრაობას“, „შავი სამყაროს“ დახმარების გარეშე! შავებთან ურთიერთობების გარკვევა კი გივია თარგამაძეს, „ბულას“ სიძეს ჰქონდა ჩაბარებული, სწორედ „ბულამ“ დება, რომ ამ ფაქტების გამოქვეყნების გამო ვინმესთვის პასუხი მოგეთხოვათ(?!). ნეტავ, რატომ?



„ბარამიძემ სპეცრაზმითა და 12 ვერტმფრენით დაბომბა ოჯახი, სადაც უდანაშაულო ბავშვებს ეძინათ და ეს სწორედ იმიტომ გააკეთეს, რომ წარმოშობით სვანი, „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ონიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, თავისი ჭკუით დააშინა“

სხვათა შორის, თქვენს ქვეშაფსია ლიდერს და მის გარემოცვას ისე მოსწონდა ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, თავისი შინაარსით, რომ თავად შექმნა ამ მოდელის სახელმწიფო, რეკეტი, გატაცება, მკვლელობა, ქონების ჩამორთმევა, „ობშიაკში“ ფულის დადება, მიშა კიდევ უფრო შორს გაფრინდა და ქურდულს ბოზურიც შეურია, ჩაშვება, ფარული გაიყვანა ის ამ წრეში. მაგალითად, სოლოლაკელ ავტორიტეტს გოგია ჩიქოვანს არაერთხელ უწყალობებია არჩევნებზე „ნაცებისთვის“. ჰოდა, აი, ამიტომ ხართ ძუკნები, რაც 9 წელი აკეთეთ, ახალა ამ ცოდვას „ოცნების“ ხელისუფლებას ჰკიდებთ. ბაქოს სკანდალსა და მილიონების გადმოტანის მცდელობის ისტორიას, სულ რომ შპაკატში ჩაჯდეთ და

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საყდრისი ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადოა“



საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს საკითხთან დაკავშირებით თბილისში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მოწვევით გერმანელი ექსპერტი თომას შტოლნერი ჩამოვიდა. ექსპერტის თქმით, საყდრისი ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადოა და ამ საკითხს უკვე რამდენიმე წელია იკვლევს.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მომიწვია იმისთვის, რომ საყდრისის ოქროს საბადოს საკითხი გადავჭრათ. ჩვენ მხოლოდ რჩევების მიცემა შეგვიძლია სააგენტოსთვის და სხვა სამთავრობო უწყებებისთვის. საყდრისს უკვე 10 წლის განმავლობაში ვსწავლობთ, ეს არის ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადო და ქართული ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. იქ არის ოქრო და ხალხს მისი მოპოვება კომერციული მიზნებისთვის უნდა, მეორე მხრივ კი, იქმნება კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა. ჩვენ გვინდა რაიმე გავაკეთოთ ამ ძეგლისთვის“, – განაცხადა შტოლნერმა.

ამ დროისთვის საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოზე სამუშაოები შეჩერებულია. (ნიუპოსტი)

## პროკურატურა ანი ნადარეიშვილის ინფორმაციას უარყოფს



მთავარ პროკურატურაში არ ადასტურებენ თავდაცვისა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლის ანი ნადარეიშვილის ინფორმაციას, სადაც საუბარია პროკურატურაში გამართულ თათბირზე.

„ეს ინფორმაცია ცრუა. ბაჩანა ახალაიასთვის ბრალის წარდგენა მოხდა საქმეზე ზედამხედველი პროკურორის მიერ, მას შემდეგ, რაც მის მიმართ შეიკრიბა საკმარისი მტკიცებულებები ამ ღონისძიების განსახორციელებლად“, – განაცხადა პროკურატურის წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, ბაჩო ახალაიას მეუღლემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში თათბირი ჩატარდა, რომელსაც პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა. მისი ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა თათბირზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ 26 ივლისს ბაჩო ახალაიამ ციხე არ უნდა დატოვოს. (ნიუპოსტი)

## სასამართლომ უგულავასთან დაკავშირებით პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის 50 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებაზე. ასევე, არ დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა თბილისის ყოფილი მერისთვის პასპორტისა და პირადობის ჩამორთმევის თაობაზე. მომდევნო სხდომა 27 აგვისტოს ჩაინიშნა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

უკანალით ასფალტი კაწროთ, მაინც ვერ გადაფარავთ!

არყის ხურუშიანი გივია თარგამაძე წერას ჰყავს ატანილი... გივი, სოციალურ ქსელში შენს პოსტებს ხშირად ვკითხულობ, როცა პრემიერს „პატარა ბიჭად“ მოიხსენიებ, შენი ბიოგრაფიიდან რატომღაც ცუდი ისტორია მახსენდება, ჰოდა გკითხავ, რა იყო გივი, „პატარა ბიჭი“ ხომ არ მოგენატრა? 2006 წელს, „ალიამ“ შენი ცუღლუტობანი გამოაქვეყნა, პატარა ბიჭთან არშიყის შესახებ, მოგვიანებით, ამ ისტორიამ მძაფრი შეფერილობა შეიძინა, რუსეთის პირველი არხის გადაცემაში „ადამიანი და კანონი“ პუბლიცისტმა მიხეილ ლეონტიევმა განაცხადა:

ტიევს პატივისა და ღირსების შელახვისთვის? რუსმა ჟურნალისტმა ისიც გაარკვია, რომ შენი პირადი ცხოვრება სხვა, დღემდე უცნობი დეტალებითაც ყოფილა მდიდარი, „ქურდულ სამყაროსთან“ შეუპოვრად „მებრძოლი“ გივი თარგამაძის ოჯახში არის საკავშირო მასშტაბით ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ბეგლარ ხარაძე, მეტსახელად „ბულა“. „ბულა“ „კაი ბიჭის“ სახელით რომ დადიოდა, ვიცოდი, მაგრამ აი, ქურდად როდისღა მონათლეს, ეგ ეპიზოდი გამომპარვია! „ბულა“ „ვასილიჩის“, ანუ გივი თარგამაძის სიდედრის, მანანა ჩარგეიშვილის მეორე ქმარია. „ვასილიჩ“, ახლა ის აგვიხსენი, შენი სიდედრის მეორე ქმარს „ბულას“ „რევოლუციურ“ საქართველოში პრობლემა რატომ არასოდეს არ შეჰქმნია? თუმცა გამახსენდა, „ბულა“ შენი წყალობით, ხომ „შავი სამყაროდან“ მის საძმოს პრობლემებს უგვარებდა, არც „ბულა“ გრჩებოდა ვალში და „კანონიერ ქურდებთან“ სიტუაციას ისიც გიგვარებდა.



**„არყის ხურუშიანი გივია თარგამაძე, წერას ჰყავს ატანილი... გივი სოციალურ ქსელში შენს პოსტებს ხშირად ვკითხულობ, როცა პრემიერს „პატარა ბიჭად“ მოიხსენიებ, შენი ბიოგრაფიიდან რატომღაც ცუდი ისტორია მახსენდება, ჰოდა, გკითხავ, რა იყო, გივი, „პატარა ბიჭი“ ხომ არ მოგენატრა?“**

„შეიძლება ითქვას, რომ „ჰუმანიტარული ფასეულობებისა და დემოკრატიის“ იდეალების სამსახური გივი თარგამაძემ დაიწყო 15 წლის ასაკში, როდესაც სქესობრივ კავშირზე დაიყოლია 12 წლის მეზობელი ბიჭუნა. თარგამაძის მშობლებმა ფული დახარჯეს და სკანდალის მიფუჩეჩება მოახერხეს. იმ დროიდან, შეიძლება ითქვას, გივი თარგამაძეს არასოდეს უღალატია საკუთარი ფასეულობებისა და იდეალებისთვის“. ეს რა ხდება გივი, პედოფილობაში გადანაშაულებენ?! გივი, მიდი ეცი და ეცი ლეონტიევს! იმასაც გეტყვი, ლეონტიევი აცხადებს, რომ მისი წყაროს სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ან აქამდე რატომ არ უჩივლე ლეონ-

ეჰ, „ვასილიჩ“, რამდენს ლაპარაკობ, სულ მივიწყებული მყავდი, მაგრამ დროა, არქივები ამოვქექო და საზოგადოებას ბევრჯერ შევახსენო, რა ნაძირალაც ხარ! სულის ამოხდით რომ გვემუქრებოდი, – „სულს ამოგხდით, ნაძირალებო“! ეს შენი საიმიჯო სლოგანია, ჰოდა, ბუმერანგის პრინციპით ვიხელმძღვანელებ და ქართველი ხალხის სახელით გეტყვით, – „სულს ამოგხდით ნაძირალებო!“ რევოლუციების ხურუშიანო, ფუჭია შენი ოცნება, ახალ რევოლუციაზე, კიევი, ბელორუსი, რუსეთი და ახლა საქართველო. გადაითვალე, სად გაარტყი მიზანში, ვის მკვლელობას უკვეთდი, მერე ჩაიხედე სარკეში და მკვლელ ნაძირალას დაინახავ, უკვე ჭაღარას,

პოლიტიკურად ცვედანს, რომელიც ძალიან მალე დაკარგავს ყველაფერს რაც კი ქურდობითა და ძალადობით შეუქმნია, შენს კარზეც დააკაკუნებს მართლმსაჯულება, გივი, დაკარგავ იმ ბიზნესდივიდენდებს, რაც კი ძალადობით ჩაგიგდია ხელში, უკრაინიდან ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა შენი ნებართვის გარეშე, ბიზნესს მონოპოლია გქონდა უკრაინაზე, არმატურის შემოტანიდან დაწყებული, ყველაფერი შენი კონტროლის ქვეშ გადიოდა. ყვარლის ტბის დასასვენებელი კომპლექსის წილშიც ხომ არ ზიხარ, გივი? შენი ბიზნეს-მეგობრების მიერაა აშენებული, სააკაშვილის რეჟიმმა მათვე ანდო დურუჯის ტბის ანალოგიური კომპლექსის მშენებლობა. გივი, შენმა კუთვნილმა კომპანია „ბლექ სი სატმა“ ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე დაიწყო ოპერირება, რომელიც 2011 წლის მარტში შეიქმნა. კომპანიის 70%-ის მფლობელად სწორედ შენს კუთვნილ კომპანია „ბლექ სი გრუპის“ ასახელებენ. ხედავ, გივი, რამდენი რამ გქონია დასაკარგი? აი, თურმე რატომ იბრძვი ასე გამწარებით, მაგრამ შენთვის რევოლუცია მაინც სულ სხვაა. როგორც ამბობენ, გივი თარგამაძის ძირითადი ბიზნესი მაინც რევოლუციების ექსპორტია, თუმცა როგორც ლეონტიევი იტყოდა, „ჰუმანიტარული ფასეულობებისა და დემოკრატიული იდეალების“ ერთგულება „ვასილიჩს“ დღემდე კი მოჰყვება, მაგრამ ამ ერთგულებას ორი კომპონენტი სჭირდება – ფული და ძალაუფლება, გივი თარგამაძემ კი საქართველოში ახალი რეალობის დამკვიდრების შემდეგ ერთი უკვე დაკარგა და, სავარაუდოდ, არც მეორეს შეარჩენს ვინმე!“ ნაცებო, მოდის დრო, როცა „ვალჩოკიდან“ მოგიწევთ, ოცნებას თვალი გაუსწოროთ!

P.S როცა სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის ფიგურანტები ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ კახი კალაძის დაკავშირებას ცდილობენ, აქვე ე.წ. კანონიერი ქურდის „წრიპას“, გვარად ქურასბედიანის, საკნიდან სკანდალურად გამოყვანის ფაქტი მახსენდება, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ ბოსებმა, „წრიპა“ ღამით ციხიდან გამოიყვანეს და გოგირდების აბანოში „საგულაოდ“ წაიყვანეს. სრულიად შემთხვევით გასკდა ეს სკანდალი, თორემ ისევე შერჩებოდათ „ნაცებს“ „წრიპას“ გამოყვანა, როგორც სხვა „კანონიერი ქურდების“ ჩამოსვლა საბაჟოს გვერდის ავლით და მათთან ერთად ნადირობა!

აქვე, ცნობისთვის, სტატისტიკას მოვიყვანთ, საიდანაც ნათლად ჩანს, რა ხდებოდა ნაცების დროს და რა ხდება ახლა. ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში შსს-მ ორი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა, 2013 წელს ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი, რომლებსაც საკმაოდ დიდი გავლენები აქვთ ე.წ. ქურდულ სამყაროში და აქვთ კავშირები საზღვარგარეთ მყოფ სხვა ე.წ. კანონიერ ქურდებთან. ასევე, ძებნა არის გამოცხადებული ერთ ე.წ. კანონიერ ქურდზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2013 წელს 70 პირი დააკავა, 2014 წლის 6 თვეში კი – 25 პირი. შედარებისთვის, წინა ხე-



**„სხვათა შორის, თქვენს ქვეშაფსია ლიდერს და მის გარემოცვას ისე მოსწონდა ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, თავისი შინაარსით, რომ თავად შექმნა ამ მოდელის სახელმწიფო, რეკეტი, გატაცება, მკვლელობა, ქონების ჩამორთმევა, „ობშიაკში“ ფულის დადება, მიშა კიდევ უფრო შორს გაფრინდა და ქურდულს ბოზურიც შეურია, ჩაშვება, ფარული გადაღება, გაუპატიურება, აბსოლუტური უსამართლობა და ადამიანების სულიერი გაბახება! ვინ იყო მიშა? თქვენი ლიდერი ერთი ნაბოზარი კურდღელი იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება „კაი ბიჭები“ თავში უბრახუნებდნენ, მას მუდამ ჰქონდა კომპლექსი, რომ ის ვერ შედგა მამაკაცად“**

ლისუფლების დროს, 2011 წელს, დააკავეს ქურდული სამყაროს მხოლოდ 10 წევრი და არც ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი არ დაუკავებიათ.

ახალი ხელისუფლების დროს დაკავებული ე.წ. კანონიერი ქურდები:

1. ბადრი დვალი, აქამდე 3-ჯერ ნასამართლევი, რომელიც რუსეთში, მკაცრი რეჟიმის საპატიმროებში იხდიდა სასჯელს სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის, შსს-მ 2012 წლის ნოემბერში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა.

2. ტარიელ ფოცხვერია, მეტსახელად „ტარასა“, 6-ჯერ ნასამართლევი სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის, წლების განმავლობაში ქუთაისში არსებულ სხვადასხვა ბიზნეს სტრუქტურებიდან კრეფდა „ქურდულ ობშიაკს“. ფოცხვერია პოლიციამ 2013 წლის ივნისში დააკავა, ის ამჟამად სასჯელს იხდის.

3. კახაბერ ორაგველიძე, მეტსახელად „კახა ტბილისსკი“, საქართველოსა და რუსეთში 4-ჯერ ნასამართლევი მძიმე დანაშაულებისთვის, იყო ყაჩაღური დაჯგუფების წევრი საქართველოში, იძებნებოდა 22 ყაჩაღობისთვის, რის შემდეგ გაიქცა რუსეთში, სადაც 3-ჯერ მოიხადა სასჯელი. შსს-მ კახაბერ ორაგველიძე 2012 წლის დეკემბერში ბათუმის აეროპორტში დააკავა.

4. ძებნა გამოცხადდა სპარტაკ ჯაფარიძეზე, მეტსახელად „სპარტაკა“, რომელიც 4-ჯერ არის ნასამართლევი სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. ქურდულ სამყაროსთან აქტიურ ბრძოლას აგრძელებს. ამის დასტურია 21 ივნისს გორში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგად სამართალდამცველებმა ე.წ. ქურდული სამყაროს 6 წევრი დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, პოლიციამ ჩანაწერებიანი ბლოკნოტი, ე.წ. „ტყავი“, 10 ათასი აშშ დოლარი და 13 ათას ლარამდე ოდენობის თანხა, ე.წ. „ობშიაკი“, ასევე სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

გორში სპეცოპერაციის დროს, ასევე, აიყვანეს სოფელ გუგუთიანთკარის მკვიდრი, 35 წლის კობა გუგუტიშვილი. შიდა ქართლში ის კრიმინალურ „ავტორიტეტად“ მიიჩნევა. გუგუტიშვილი წარსულში არაერთ საქმეზე, მათ შორის მკვლელობაზეა გასამართლებული. მის დოსიეში პირველი განაჩენი ჯერ კიდევ 1994 წლით თარიღდება, მაშინ ის არასრულწლოვანი (15 წლის) გახლდათ. ეს პიროვნება იყო ციხეზე მაყურებელი და როცა ბაჩო ახალაია ციხეზე სიტუაციას ვერ ალაგებდა, კობა გუგუტიშვილს მიმართავდა დასახმარებლად და ის უგვარებდა ციხის „პალაჟენიას“. „ნაცებო“, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ქურდულ „დვიჟენიაში“ გარკვეულები იყავით, თქვენ ხომ მათი დახმარების გარეშე ვერც არჩევნებს მოიგებდით, ვერც ქუჩას გააკონტროლებდით და ვერც ციხეში დაამყარებდით კონტროლს, საქმე ისაა, რომ, ე.წ. კანონიერ ქურდებს საქმეს აძლევდით, ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევდით და მერე „ყრიდით“, „შავ სამყაროსთან“ კოჰაბიტირებდით და დღეს მათი მუქარის ასრულების გეშინიათ, ამიტომაც გელანდებათ ყველგან ქურდები! არადა, რომ დაფიქრდეთ, ყველაზე საშიშ კრიმინალს საკუთარ თავებში აღმოაჩენთ...

»» ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნიკოლა სარკოზის ბრალი ოფიციალურად წაუყენეს



საფრანგეთის ექსპრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის 15-საათიანი დაკითხვის შემდეგ ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. ფრანგული მედიის ინფორმაციით, გამოძიება სარკოზის კორუფციაში, ანგარებიანი მიზნებით გავლენის ბოროტად გამოყენებასა და გამოძიების საიდუმლოების დარღვევას ედავება.

გამოძიების ინფორმაციით, საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა მისი წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ გამოძიების ინფორმაციის მიღების სანაცვლოდ მოსამართლეს მონაკოში ახალი თანამდებობა შესთავაზა.

მათივე ინფორმაციით, მასთან ერთად მოქმედებდა მისი ადვოკატიც. საქმის გამოძიება 2013 წელს დაიწყო. (ნიუპოსტი)



## ილია მეორე გერმანიაში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გერმანიაში გაემგზავრა, მიზეზი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებია, რომელთა პროფილაქტიკის მიზნითაც უწმინდესი საზღვარგარეთ მიემგზავრება ხოლმე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ილია მეორე გერმანიაში სამი კვირის განმავლობაში დარჩება. (ნიუპოსტი)

## „კალაძის განცხადება მორიგი სიბრიყვეა“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გოკა გაბაშვილი ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებას, რომ ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს აზერბაიჯანიდან ნამდვილად გადმოჰქონდათ შავი ფული, მორიგ სიბრიყვეს უწოდებს:

„ეს არის მორიგი სიბრიყვე, რაც კალაძემ თქვა და ეს არ არის პირველი სიბრიყვე, რაც მან თქვა. სხვათა შორის, ელექტროშოკები დაავიწყდა და კიდევ ნახმარი „შპრიცები“, რომელიც სადარბაზოებში უნდა დაგვეყარა. ძალიან კარგად იციან, რომ, რაც მარნეულში გააკეთეს, ეს არის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. სხვაგან ხელის გაშვერა, მით უმეტეს, კანონიერი ქურდების მეგობარი და მფარველი კალაძისგან სამარცხვინოა“, – განაცხადა გოკა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge







„როგორც კი მარინა დოლიძემ განაცხადა, სასამართლოში ვიჩივლებ, ამ დღეს საერთოდ არ ვყოფილვართ თბილისშიო, „ნაციონალებმა“ ამ კუთხით სკანდალი აღარ განავითარეს, ანუ კეჭაყმაძეების თემა საერთოდ მოხსნეს“

ფარის ძაღლებივით (როგორც იციან ხოლმე). 2 ივლისს მამალმა „ნაცმა“, ადვოკატმა გოგა ონიანმა მთავარ პროკურატურაში განცხადება შეიტანა, ის კანონიერი ქურდის – რომან ბარბაქაძის, იგივე „რემენას“ ექსტრადირების საქმის გამოძიებასა და კახი კალაძის დაკითხვას ითხოვს. ონიანის თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ კანონიერი ქურდი საქართველოში კანონის გვერდის ავლით სასაზღვრო გამშვებ საგუშაგოზე რეგისტრაციის გარეშე შემოიყვანეს. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, ონიანის განცხადების გამო კალაძის დაკითხვა არ მოხდება და ეს „ნაციონალებმაც“ მშვენივრად იციან, მაგრამ ახლა მთავარი ბაქოს ინციდენტის გადაფარვაა. ირმა ნადირაშვილი კახი კალაძეს ხელს პირდაპირ ადებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მისი დავალებით ძებნილი კანონიერი ქურდი, ბარბაქაძე, რომელიც

გაგრძელება მერვე გვერდზე

# ვინ არიან „კანონიერი ქურდების“ შემოყვანა-გაყვანაში გარეულები და რა გეგმა დაამუშავეს „ნაციონალებმა“?!

მას შემდეგ, რაც ბაქოში ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე „გაიჭედნენ“, „ნაციონალებმა“ გადაწყვიტეს, ხელისუფლებას „ატმასკა“ „კანონიერი ქურდების“ თემით აუღონ. ვინაიდან დღეს ხელისუფლებაში უამრავი მოღალატე და ფულის გულისთვის სულის გამყიდველი ადამიანია, „ნაციონალებს“ ნებისმიერი სკანდალის აგორება იოლად გამოსდით. სხვათა შორის, მათ ეგონათ, გავიდოდა ცოტა დრო და ბაქოს ამბავი თავისთავად ჩაიფარცხებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ჯერ ერთი, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მთავარი პროკურორი, გიორგი ბადაშვილი რამდენიმე დღის წინ ბაქოში გაემგზავრა და (როგორც კულუარებში ამბობენ, ეს ვიზიტი კონფერენციის გარდა, ამ თემასაც უკავშირდება) მეორეც – „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები უკვე დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ აზერბაიჯანიდან „ნაციონალ“ დეპუტატებს მართლაც გადმოჰქონდათ დიდი ფული და ამ საქმეზე პროკურატურაში უკვე დაწყებულია გამოძიება. ვიცე-პრემიერი კახი კალაძე საჯაროდ აცხადებს, რომ ბაქოდან გამომგზავრებისას უშუალოდ ირმა ნადირაშვილს ჩანთაში 350 ათასი დოლარი ჰქონდა:

„ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს ბაქოდან შავი ფული მოჰქონდათ – დაახლოებით 1 მილიონის ოდენობით, რის გამოც 4 საათის განმავლობაში დაკავებული იყვნენ. დეტალები ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ეს ყველაფერი მიჩუმათდა, რადგან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თემა იყო. ამის გამო ყველაფერი ჩაწყნარდა და არც ჩვენ მივყევით ბოლომდე. თუ გახსოვთ, როცა ეს ორი პიროვნება თბილისის აეროპორტში ჩამობრძანდა, ბატონმა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანში განიხილავდნენ მარნეულსა და გარდაბანში მიმდინარე მოვლენებს. როცა ჩვენ ჩვენი კანდიდატი მარნეულში მოვხსენით, ეს ზუსტად იმის გამო გავაკეთეთ, რომ გვქონდა ინფორმაცია, „ნაციონალური მოძრაობა“ ეთნიკურ ნიადაგზე რაიონში არეულობის მოწყობას გეგმავდა“.

კალაძეს უკვე დაერივნენ „ნაციონალები“



„ნაციონალების“ ბინძურ გეგმებს თავი რომ დავანებოთ, დღეს ჭიკაიძისა თუ ღარიბაშვილის სახელს ბევრი ძალიან ცუდად იყენებს. აბა, დავფიქრდეთ, ჭიკაიძეს ან კალაძეს ქურდების შემოპარება-გაპარება რაში სჭირდებათ? ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსკოვში კანონიერი ქურდი „ბესო რუსტავსკი“ დააკავეს



მოსკოვის ოლქში რუსმა სამართალდამცავებმა 31 წლის ქართველი „კანონიერი ქურდი“ ბესო კვინიხაძე იგივე „ბესო რუსტავსკი“ დააკავეს. კვინიხაძე იაკუტსკის ოლქის ქალაქ ნერიუნგრიში დაიბადა. ის ასევე კრიმინალური ავტორიტეტის ზურა კვინიხაძის ვაჟია.

პირველად ბესო კვინიხაძე სამართალდამცავებმა 1999 წელს მის ხუთ თანამოაზრესთან ერთად ძველ არბატზე ერთ-ერთ კაფეში დააკავეს, კერძოდ, „ბესო რუსტავსკის“ გამოსასყიდის მიზნით მძევლად ჰყავდა აყვანილი ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანიის მფლობელის ვაჟი. მეორედ 2002 წელს ავტომანქანა Jeep Grand Cheroke-ის გატაცებისთვის იქნა დაკავებული და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2013 წელს ე.წ. „კანონიერმა ქურდებმა“ მისი „ქურდად მონათვლის“ საკითხი დააყენეს, რაშიც კვინიხაძეს მხარს უჭერდნენ ძმები ქარდავები და მათი გარემოცვა. „ქურდად მონათვლის“ შემდეგ მას „ბესო რუსტავსკი“ ეწოდა. თუმცა სანკტ-პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში, კვინიხაძე ქურდული გარჩევების ეპიცენტრში მოექცა და ადგილობრივმა კრიმინალებმა „რიჟა ალბერტამ“ და „მირიჩამ“ „ქურდობა“ დაუსწრებლად შეუჩერეს. თუმცა სანკტ-პეტერბურგელი „ქურდების“ ამ გადაწყვეტილებას დიდი გარჩევები მოჰყვა, ბესოს მომხრეებმა გარჩევაზე „რიჟა“ დაიბარეს. გავრცელებული ინფორმაციით, „ქურდებს“ შორის დაპირისპირების ხმაურიანი გარჩევა თურქეთში, ქალაქ ედირნეში მოხდა, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ერთი თურქი პოლიციელი შეეწირა. (ნიუპოსტი)

## ფიროსმანის საფლავის კვლევის კომისია შეიქმნა



კულტურის სამინისტროს ცნობით, ნიკო ფიროსმანის საფლავის მოძიების საქმეში აქტიურად ჩაერთო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე უხელმძღვანელებს.

კომისიის წევრები ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები არიან: დავით ლორთქიფანიძე, ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე, დეკანოზი ალექსანდრე გალდავა, მარინა ხომერიკი, ნელი კობიაშვილი, გოგი ხოშტარია, მაია რამიშვილი, ეკატერინე კიკნაძე, გიორგი კაკაბაძე, ქეთევან ჭარხალაშვილი, ანზორ მაძღარაშვილი და თემურ ჩალაბაშვილი.

გურამ ოდიშარიას თქმით, კომისია უახლოეს ხანში დაიწყებს ყველა არსებული ვერსიის განხილვას, დამუშავებას და მის საქმიანობაში ჩაერთვებიან ქართველი და საჭიროების შემთხვევაში უცხოელი მეცნიერებიც. კვლევის პერიოდში კომისია კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიყენებს ყველა საინფორმაციო-სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებას. (რეპორტიორი)

## ინციდენტი გოთუას ქუჩაზე



გარკვეულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი კომპანია „თელასის“ წარმომადგენლებსა და გოთუას 8-ში მცხოვრებ მოსახლეობას შორის. „თელასი“ კორპუსის მოსახლეობის მიერ შეძენილი ტრანსფორმატორის ჩანაცვლებას კომპანიის კუთვნილი ტრანსფორმატორით აპირებდა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, კომპანია მათი კუთვნილი ტრანსფორმატორის შედარებით სუსტი ტრანსფორმატორით ჩანაცვლებას გეგმავს, ეს კი მათ სურვილს ეწინააღმდეგება:

„ჩვენ მიერ შეძენილი ტრანსფორმატორი არის 1000-მეგავატიანი, „თელასს“ სურს ჩაანაცვლოს 600-მეგავატიანით და ჩვენი ტრანსფორმატორი მიაქვთ, ჩვენ ეს არ გვსურს. მათ არავითარი საბუთი არ აქვთ და არც მოსახლეობას მიუმართავს კომპანიისთვის ტრანსფორმატორის შეცვლის თხოვნით“, – აცხადებენ ადგილობრივები.

კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ტრანსფორმატორის შეცვლა საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში ხდება. „ეს არის საინვესტიციო პროგრამა, რომლითაც სარეზერვო კვება უკეთდება ამ კორპუსს, არ არის სიმართლე, რომ თითქოს ვგეგმავთ მათი ტრანსფორმატორის უხარისხო ანალოგით ჩანაცვლებას“, – განმარტავს თელასის წარმომადგენელი. (ნიუპოსტი)

## „სასჯელის შეკრებითობის აღდგენა ქვეყანაში დანაშაულის ზრდას ვერ შემოატრიალებს“



უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ, თუ სასჯელის შეკრებითობა აღდგება, ეს იქნება მმართველი გუნდის ართანმიმდევრულობა.

„არ ვიცნობ ამ ინიციატივას. მაგრამ, პირველ რიგში, აღსანიშნავი იქნება არათანმიმდევრულობა საკუთარ პოზიციაშივე, რაც ზოგადად ახასიათებს მმართველ გუნდს. მაგრამ, მთავარი პრობლემა იმ თვალსაზრისით, რასაც დღეს ვხედავთ, ვგულისხმობ დანაშაულის ზრდას, ორგანიზებული დანაშაულის მომრავლებას, არის არა კანონმდებლობაში, არამედ პოლიტიკურ ნებაში, ასევე იმ კონტაქტებში, რომელიც არსებობს ორგანიზებულ დანაშაულსა და სახელისუფლებო გუნდს შორის, ასევე, პოლიციის რეპუტაციის დასუსტებაში და პოლიციის პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტებაში. ეს არის ის, რამაც ამ სახიფათო გზაზე დაგვაყენა და ამას ვერ შემოატრიალებს რომელიღაც საკანონმდებლო ცვლილება. ამისთვის, როგორც ჩანს, საჭირო იქნება ამ ხელისუფლების შეცვლა“, – განაცხადა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

უკრაინიდან ჩამოიყვანეს, თვითმფრინავის ბორტიდან მოხსნა და აეროპორტიდან გაიყვანაო. ნადირაშვილის თქმით, თვითმფრინავი გამოფრინდა ბორისპოლის ტერმინალიდან 21 ივნისს, 19 საათსა და 35 წუთზე.

მეტი დამაჯერებლობისთვის „ნაციონალებმა“ ამ ყველაფრის შემსრულებლებად დაასახელეს „პროგრეს-ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ილია კეჭაყმაძე და მისი მეუღლე, მარინა დოლიძე. ნადირაშვილის თქმით, რომან ბარბაქაძე აეროპორტის ტერიტორიიდან გაიყვანეს „მერსედესით“, რომლის სახელმწიფო ნომერია: ძცძ-222. როგორც კი მარინა დოლიძემ განაცხადა, სასამართლოში ვიჩივლებ, ამ დღეს საერთოდ არ ვყოფილვართ თბილისშიო, „ნაციონალებმა“ ამ კუთხით სკანდალი აღარ განავითარეს, ანუ კეჭაყმაძეების თემა საერთოდ მოხსნეს.

სხვათა შორის, „ნაციონალებს“ დაგეგმილი ჰქონდათ, დიდი სკანდალი სხვა „კანონიერი ქურდის“ წყალობით აეგორებინათ, მაგრამ ამასობაში უკრაინული ვარიანტიც „გაიჩითა“ და სწორედ ეს გამოიყენეს. დაუკვირდით, „რემენას“ თემის წამოწევამდე, ორი დღით ადრე დეპუტატი გიორგი ღვინიაშვილი აცხადებს: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თურქეთიდან საქართველოში უპრობლემოდ შემოუშვეს კრიმინალური ავტორიტეტი, მინდია გორაძე, მეტსახელად „ლავას-ოღლი“, ეს ხელისუფლება ქურდებთან არის შეკრულიო. თქვენ წარმოიდგინეთ, „ლავას-ოღლი“ მართლაც დააფიქსირეს ბათუმში, კერძოდ, სასტუმრო „გოლდენ პალასში“, მაგრამ გამოჩნდა თუ არა „რემენას“ ვარიანტი, ის უცებ გააქრეს, ანუ ისევ თ უ რ ქ ე თ შ ი დააბრუნეს.

რ ო გ ო რ ც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „ლავას-ოღლი“ ვილაცებმა მართლაც გააცილეს სარფის საბაჟოდან, მაგრამ ესენი არც პოლიციელები იყვნენ და არც ოფიციალური პირები: „ამ საქმეში გარეულია ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაცვის უფროსი, რომელიც ყოფილი მოჭიდავეა. არსებობს ყოფილ მოჭიდავეთა ჯგუფი, რომელიც „ბეზპრედელობს“ მიშა სააკაშვილის დროიდან მოყოლებული. ახლაც იგივეს აგრძელებენ, რადგან იმ მაღალჩინოსნის დაცვის უფროსი მფარველობს, რომელიც უკვე ვახსენე. „ლავას-ოღლიც“ ძველი მოჭიდავეა, ახლა ხვდებით, რაშია საქმე? „ნაციონალების“ ბინძურ გეგმებს თავი რომ დავანებოთ, დღეს ჭიკაიძისა თუ ლარიბაშვილის სახელს ბევრი ძალიან ცუდად იყენებს. აბა, დავფიქრდეთ, ჭიკაიძეს ან კალაძეს ქურდების შემოპარება-გაპარება რაში სჭირდებათ? ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. როცა „ლავას-ოღლი“ სარფში გადაჰყავდათ, იქაც მომხდარა რაღაც ინციდენტი. მოჭიდავე „ზონდერები“ ისევ ფორმაში არიან და ფულის გამო ყველაფერს კადრულობენ. მაგათ შეუძლიათ, „ლავას-ოღლიც“ ატრიალონ თავიანთ ჭკუაზე, „რემენაც“ და სხვებიც. რომ არა მოღალატე მფარველი, ბუზსაც ვერ გააპარებდნენ საზღვარზე, ჰაერში აიქნევდნენ ყველას ერთად. ეს ორი შემთხვევა ერთი გეგმის ნაწილია. სხვათა შორის, კულუარებში იმასაც ლაპარაკობენ, რომ „რემენა“ საერთოდ არ ჩამოუყვანიათ თბილისში, არც ეგ არის გამორიცხული. მე ვურჩევდი უკრაინის ახალ ხელისუფლებას, რომ ნუ აჰყვება სააკაშვილის ავანტიურებსა და ფალსიფიკაციებს, რაც უფრო ადრე მოიცილებენ თავიდან, მით ადრე დალაგდება ჩვენი მოძმე უკრაინა და ჩვენც დავისვენებთ. რაც მთავარია, ჩვენმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიხედოს „ზონდერ-მოჭიდავეებს“, ვინც 2011 წლის 26 მაისს ხელები გაისვარა ქართველი ხალხის სისხლში, პასუხი არავის უგია. სად არის ის უდესიანი, რომელიც ამ „ზონდერებს“ ხელმძღვანელობდა? მე მგონი, ეს საქმე აღარავის ახსოვს“.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, სანდრო ბრეგაძე აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ეს ყველაფერი „ნაციონალების“ მიერ დადგმული სპექტაკლია, რათა თავადვე გადაფარონ თავიანთი ბინძური საქმეები: „ნაცების“ დადგმულია ის, რომ ვინმე „რემენა“ თითქოს აქ იყო. ყველამ ვიცით, სააკაშვილი კიევშია და თან ჰყავს თავისი ამფსონები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ კიევის ახალ ხელისუფლებასთან, ამიტომ დიდი ალბათობით, კიევის აეროპორტიდან გადმოგზავნილი საბუთები გაყალბებულია. სააკაშვილს ჯერ კიდევ სერიოზული გავლენები აქვს უკრაინაში“.

მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში სერიოზული გავლენა აქვს თუ არა, ეს ცოტა საკამათო თემაა, მაგრამ ქრთამი რომ ჯოჯოხეთსაც ანათებს, ეს ვიცით. აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რატომ მაინცდამაინც უკრაინა? რატომ უვარდებათ ხელში ასე ოპერატიულად ვინმე „რემენას“ პირადი საბუთები „ნაციონალებს“? ეს პოლიტიკური ორგანიზაციაა თუ „ფებეერი“? რატომ ვაფინანსებთ ჩვენ, ქართველი ხალხი, ისეთ პარტიას, რომელიც პროვოკაციების მოწყობით არის დაკავებული? დავუშვათ, „რემენა“ მართლაც ჩამოიყვანეს თბილისში და კალაძის ბრძანებით გადამალეს, ხომ არსებობს თვითმფრინავის ეკიპაჟი, ხომ არსებობს აეროპორტის ხელმძღვანელობა და ათასი ჯურის მოთვალთვალე? თუკი „ნაციონალები“ ლამის იმავე დღეს ხელში იგდებენ დოკუმენტაციას, რატომ ვერ მიადევნეს თვალი თავად „რემენას“? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აეროპორტში არსებობს სათვალთვალო კამერები, ვინც მაგათ დეპორტაციის საბუთები მიაწოდა, გადაღებულ მასალასაც მიაწვდიდა. ამ ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში „ნაციონალებს“ ჯერ კიდევ ჰყავთ თავიანთი აგენტურა და ასევე, დატოვებული ჩინოსნები, რომლებსაც თავისუფლად მიუწვდებათ ხელი საიდუმლო დოკუმენტაციაზე და არა მხოლოდ დოკუმენტაციაზე, თითოეული მოქალაქის პირად ცხოვრებაზე. დღევანდელ ხელისუფლებას შევახსენებ: სად გაქრა მოსასმენი აპარატურის დაკარგვასთან დაკავშირებული საქმე, რატომ აღარ ახსენებს ვინმე, ამანაც დალია ჩაილურის წყალი?!

**„ამ ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში „ნაციონალებს“ ჯერ კიდევ ჰყავთ თავიანთი აგენტურა და ასევე, დატოვებული ჩინოსნები, რომლებსაც თავისუფლად მიუწვდებათ ხელი საიდუმლო დოკუმენტაციაზე და არამხოლოდ დოკუმენტაციაზე, თითოეული მოქალაქის პირად ცხოვრებაზე“**




**„დავუშვათ, „რემენა“ მართლაც ჩამოიყვანეს თბილისში და კალაძის ბრძანებით გადამალეს, ხომ არსებობს თვითმფრინავის ეკიპაჟი, ხომ არსებობს აეროპორტის ხელმძღვანელობა და ათასი ჯურის მოთვალთვალე? თუკი „ნაციონალები“ ლამის იმავე დღეს ხელში იგდებენ დოკუმენტაციას, რატომ ვერ მიადევნეს თვალი თავად „რემენას“?**

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურამ ბაჩანა ახალაიას ახალი ბრალი წარუდგინა



პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან და №8 საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე მუხაძესთან ერთად გადაწყვიტა, წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოსაპოვებლად, უდანაშაულო მოქალაქეთა წამების გზით, მიეღო აღიარებითი ჩვენებები, რასაც გაავრცელებდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თითქოსდა გამოვლენილი ჰყავდათ ე.წ. „ჯაშუშური“ ჯგუფი.

2011 წლის სექტემბერში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს, თადარიგის პოლკოვნიკს სერგო თეთრაძესა და მოქალაქეებს სერგეი ჩაპლიგინსა და გიორგი გორელაშვილს.

ცემისა და წამების დროს, ბაჩანა ახალაიამ ამოიღო თანნაქონი იარაღი, მიაბჯინა სახეზე ვიცე-პოლკოვნიკ ლონდარიძეს და დაემუქრა მოკვლით, თუ ეს უკანასკნელი არ აღიარებდა დანაშაულს, თან აგინებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. მას შემდეგ, როდესაც ცემისგან დაუძლურებულ დავით ლონდარიძეს მეგის ქარდავა დაემუქრა სექსუალური ძალადობით, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მასზე მოძალადე პირების მოთხოვნას და ეღიარებინა, თითქოსდა ის სჩადიოდა ჯაშუშობას საქართველოს წინააღმდეგ.

მორიგი იძულებითი აღიარების მიღების მიზნით, მეგის ქარდავა, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ბაჩანა ახალაიასთან შეთანხმებით, გიორგი გორელაშვილს მთელი დღის განმავლობაში აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. კერძოდ, სისტემატურად სცემდნენ მას პლასტმასის მილით, ემუქრებოდნენ, რომ მავთულის დიდი ზომის საჭრელი მაკრატლით თითებს დააჭრიდნენ და მის თითებს ათავსებდნენ მაკრატლის საჭრელ პირებს შორის. შემდგომ მას ყელზე შეაბეს იარაღის დასამაგრებელი ტყავის თასმა და აიძულებდნენ, ოთხზე ეხოხა შენობის დერეფანში. მას შემდეგ, რაც ისინი დარწმუნდნენ, რომ გიორგი გორელაშვილი არ აღიარებდა არჩადენილ დანაშაულს, იგი, როგორც „ჯაშუშობაში“ ბრალდებული, გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ასევე, აღიარების მიღების მიზნით, ისინი სერგო თეთრაძეს აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და არ აძლევდნენ სუნთქვის საშუალებას. სერგო თეთრაძემაც, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძლიერი ფიზიკური ძალადობისა, არ აღიარა მისთვის დაბრალებული დანაშაული. ამის გამო, ბაჩანა ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრაძის შემდგომ წამებას და სექსუალურ ძალადობას, რის საფუძველზეც, 2011 წლის 23 სექტემბერს, ბაჩანა ახალაიას გეგმის მიხედვით, №8 საპყრობილეში მოთავსებულმა პატიმრებმა ალექსი ტერაშვილმა და თამაზ სისაურმა საკანში, სერგო თეთრაძის მიმართ განახორციელეს სექსუალური ძალადობა. სერგო თეთრაძე მასზე განხორციელებული წამების შედეგად გახდა ცუდად და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა გონს მოუსვლელად.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და გასამართლებულნი არიან სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა, №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე, ამავე დაწესებულების თანამშრომლები ვიქტორ ყაჭეიშვილი და ოლეგ ფაცაცია, თითოეულს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება ბაჩანა ახალაიას, როგორც ამ დანაშაულის ორგანიზატორს, მისი ბრალდების საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-ე მუხლის მეორე ნაწილით, 25/138-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

## ყოფილი გენპროკურორი ზოდელავა დაკითხეს



დაკითხვიდან გამოსული ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას თქმით, სამართალდამცავები მაშინ იბარებენ დაკითხვაზე, როცა ის საზღვარგარეთ გამგზავრებას გეგმავს. ზოდელავა ეჭვს გამოთქვამს, რომ დაკითხვა არის მიზეზი იმისთვის, რომ მან საზღვარი არ გადალახოს.

„დაკითხვაზე დამიბარეს შპს „ბურჯთან“ დაკავშირებით. თავი მგონია სიურრეალისტურ სამყაროში, რადგან ვინმე „რემენა“, ვინმე „მაკენტოშა“ და გარკვეული პირები, უპრობლემოდ შედიან და გადიან ქვეყანაში, ხოლო მე ამის პრობლემა მაქვს. როდესაც რაიმე საქმიან ვიზიტს დავგეგმავ, მაშინვე ჩემი დაბარება ხდება დაკითხვაზე. ამ შემთხვევაშიც საქმე გვქონდა ამასთან. მეორეჯერ დავიკითხე ამ საქმეზე, მე ვფიქრობ, რომ ეს მეტწილად ეხება იმას, რომ მათ არ სურთ გადავკვეთო საზღვარი“, – აღნიშნა ზოდელავამ. (ნიუპოსტი)



# ასოცირების ხელშეკრულების გამო, უხარისხო საწვავის შემოტანა აიკრძალება!

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ხელშეკრულება თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, ამ სფეროებში მომავალში ევროპული რეფორმები გატარდება და ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები მის დადებით მხარეებზეც ბევრს საუბრობენ და უარყოფითზეც. თუმცა, შეიძლება ითქვას, არის სფერო, რომელიც ნაკლებად სადავოა. ეს გარემოს დაცვა და ეკოლოგია გახლავთ. სუფთა გარემო და ეკოლოგიური უსაფრთხოება ყველასთვის ერთნაირად აუცილებელია, მიუხედავად იმისა, ევროკავშირთან ასოცირების მომხრეა, მოწინააღმდეგე თუ სულაც ნეიტრალურ საქართველოს უჭერს მხარს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემოს დაცვა და ენერგეტიკული უსაფრთხოების“ ხელმძღვანელი, ნინო ჩხობაძე ზედმიწევნით კარგად იცნობს ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით აისახა საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულებაში და გარემოს დაცვის სამინისტროსთან და მთავრობის სხვა სტრუქტურებთან ერთად, ამ დოკუმენტების განხილვაშიც მონაწილეობდა.

**„ალია“ ნინო ჩხობაძეს ესაუბრა:**

– ამ ხელშეკრულებაში მთავარი არის რამდენიმე მიმართულება. პირველი არის წყალი, წყლის რეგულირება და მართვა. აქ ევროკავშირის მოთხოვნა არის ძალიან მკაცრი. მთავარი ამოცანაა, საქართველოს ყველა მოქალაქემ მიიღოს სუფთა წყალი და საკანალიზაციო სისტემა იყოს მოწესრიგებული. უნდა აღდგეს ის პრინციპები, რომლებიც ადრე იყო საქართველოს კანონმდებლობაში და 2006 წლიდან ამოიღეს: 1. წყლის ნებისმიერი დამაბინძურებელი იხდის. 2. წყლის ნებისმიერი მომხმარებელი იხდის. მოკლედ, უნდა შემოვიდეს წყლის მოხმარებაზე გადასახადი და მკაცრად დაისაჯონ წყლის დამაბინძურებლები. კანონპროექტი უკვე მზად არის, მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდა მისი კანონად ქცევა. გარკვეული ჯგუფები ლობირებენ, რომ კანონის მიღება შეფერხდეს. შიდა უწყებრივი ჯგუფები ძალიან აქტიურობენ, რადგან არავის არ უნდა კანონის გამკაცრება, მკაცრი რეგულაციები.

**— ვინ უწევს წინააღმდეგობას და რა ჯგუფები არიან? კონკრეტული ბიზნესინტერესები ხომ არ დგას ამ ლობისტთა უკან?**

– არა, ბიზნესინტერესები არ იკვეთება, ბიზნესი ყველაზე ნაკლებად არის ჩართული ამ კანონის დაბლოკვაში. აქ უფრო შიდა უწყებრივი, ჩინოვნიკური და ბიუროკრატიული მექანიზმები მუშაობენ და ისინი ბლოკავენ კანონს. ჩვენს ჩინოვნიკებსა და ბიუროკრატებს იმის შიში აქვთ, რომ, თუ წყალზე კონტროლი და რეგულაციები გამკაცრდება, ბიზნესს პრობლემები შეექმნება, ბიზნესს დააფრთხობენ. არადა, ევროკავშირი ჩვენგან სწორედ მკაცრ რეგულირებას მოითხოვს.

**— რომელი მინისტრები არიან წინააღმდეგი ამ კანონის მიღებისა?**

– ენერგეტიკის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები არიან წინააღმდეგი. ამ სამინისტროების პირველ პირებზე ამას ვერ ვიტყვი, მინისტრები ნამდვილად არ ბლოკავენ კანონპროექტს, მაგრამ შუა რგოლებში ეს რეგულაციები ბევრისთვის გაუგებარია, თითქოს ბიზნესის დაცვის საბაბით აჭიანურებენ კანონის მიღებას და მკაცრი რეგულაციების ამუშავებას. მკაცრი რეგულაცია გარემოს დაცვაში არ ნიშნავს ბიზნესის წართმევას ან მის დაკნინებას. ეს ევროპაში ყველას კარგად ესმის და იქ გარემოს და კონკრეტულად წყლის დაბინძურების ხარჯზე, არავინ შოულობს ფულს. ვინმე თუ აბინძურებს, კიდეც იხდის და საკმაოდ მაღალ გადასახადს თუ ჯარიმას. თუ ბიზნესმა წინასწარ იცის, რომ მას წყლის დაბინძურებისთვის გადასახადის გადახდა მოუწევს, ის მზადაა ამისთვის და შესაბამისად, ხარჯებში გაითვალისწინებს. მგონი, სადავო არ უნდა იყოს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე ფულის კეთებას ბოლო უნდა მოეღოს.

**— დავუშვათ, კონკრეტულმა ბიზნესკომპანიამ დააბინძურა მდინარე, მერე ამის გამო ბიუჯეტში გადაიხადა ჯარიმა. ის მდინარე ხომ ისევ დაბინძურებული დარჩება და მოსახლეობა ხომ ისევ საეჭვო ხარისხის სასმელ წყალს მიიღებს?**

– ბიზნესმენი რომ ბიუჯეტში ფულს გადაიხდის, ამ ფულით უნდა აშენდეს მდინარის გამწმენდი ნაგებობა და ამ ტიპის სხვა ღონისძიებები უნდა გატარდეს. დანარჩენი სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, ბიზნესმენები მდინარეებს ვერ დაგვისუფთავებენ, მათი ფულით კი დავასუფთავებთ. ევროკავშირის მკაცრი დირექტივაა ამგვარი გამწმენდი ნაგებობების აშენება და სხვა სამუშაოების ჩატარებაც. მოკლედ, თუ ეს კანონი მიიღეს, სასმელი და არამხოლოდ სასმელი წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

**— ეკოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საკითხი ნარჩენებია. ამ კუთხით რა**

*გაგრძელება მეათე გვერდზე*



**„ნებისმიერი დიდი თუ მცირე ჰესის მშენებლობისას, დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, ყველა შესაძლო საფრთხე, ყველა რისკ-ფაქტორი უნდა გაანალიზდეს და აღიკვეთოს. ევროკავშირის მოთხოვნით, ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა უფრო უნდა გამკაცრდეს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არჩევნებზე გამოუცხადებლობა ავტომატურად „ცოცხების“ მხარდაჭერას ნიშნავს“





საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი, ალექსანდრე ქანთარია, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს თხოვნით მიმართავს:

„გთხოვთ, თქვენი მოქალაქეობრივი თვითშეგნებიდან გამომდინარე, მოხვიდეთ არჩევნებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულია, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცაზე გული გაქვთ აცრუებული, ან ფიქრობთ, რომ არავის მხარეზე არ ხართ. ეს ნებით თუ უნებლიეთ, ცოცხების მხარეს ყოფნას ნიშნავს. ამიტომ, ყველას გთხოვთ, ნუ გავატანთ ქარს იმას, რაც 2012 წელს ქვების, ტყვიებისა და ჯოხების ქვეშ მოვიპოვეთ“, – განაცხადა ქანთარიამ. (რეპორტიორი)

## უგულავას განთავისუფლება დანაშაულია!



სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე მიიჩნევს, რომ გიგი უგულავას განთავისუფლება დანაშაულია.

„სასამართლოს რეფორმა ვითომ ჩატარდა?! ეს მოსამართლეები ნაძირალა მიშას კუდები არიან! დღეს მოსამართლეს თავი არ აუწევია, ისე წაიკითხა განაჩენი და გავიდა დარბაზიდან. პირველ რიგში, თვითონ ის მოსამართლე არის ჩასასმელი ციხეში. სანამ ეს სასამართლო სისტემა, კუბლაშვილიდან დაწყებული, არ განთავისუფლდება, ჩვენ სულ ასეთ დღეში ვიქნებით. უგულავა თავხედურად და ირონიით რომ ლაპარაკობს, პასპორტი უნდა ჩამოართვან! სასამართლო თუ არ ართმევს, მილიციამ ჩამოართვას და საზღვარგარეთ არ გაუშვან, თორემ გაიპარება და ველარც დაიჭერენ. ის 50 მილიონი უნდა ჩამოართვან, რაც აქვს. თავის ცოლს, 100-ათასიან შუბებს რომ ყიდულობს, ზუსტად ის ფულები უნდა წაართვან!!“, – განაცხადა ჯაველიძემ. (რეპორტიორი)

## სასამართლომ და პროკურატურამ ყველა დამნაშავე დროულად უნდა დასაჯოს!



თბილისის მერიასთან აქცია გაიმართა, რომლის მონაწილეებმაც გააპროტესტეს უგულავას მიერ გამოთქმული პრეტენზია, რომელიც ყველა ბრალდებას პოლიტიკურ სარჩულს უდებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელის, ზურა ქადაგიძის განცხადებით: „სითი პარკის“ თემასთან დაკავშირებით მრავალჯერ გავმართეთ აქცია და ვთქვით, რომ ეს იყო კორუფციულ-მაქინატორული სქემით შექმნილი ე.წ. სამკუთხედი, რომლითაც ხალხის მიერ გადახდილი ჯარიმები, პირადი ინტერესებისთვის, გიგი უგულავას ხმარდებოდა. ეს ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიჭირონ. კატეგორიულად მივმართავთ სასამართლოს და პროკურატურას, დროულად გამოიძიონ და დასაჯონ ყველა დამნაშავე. მერიის თანამშრომლებს მივმართეთ, ითანამშრომლონ პროკურატურასთან და სასამართლოსთან, რათა დროულად გამოიძიონ და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ამ საკითხს“. – განაცხადა ქადაგიძემ. (რეპორტიორი)

## ბრიჯიტ ბრინკმა საქართველოში დიპლომატიური სამსახური დაასრულა

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი თბილისს ტოვებს. როგორც ბრინკმა აშშ-ის საელჩოში ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ მიღებაზე განაცხადა, მან დიპლომატიური სამსახური დაასრულა. „ჩემთვის დიდი პატივი იყო, მემსახურა საქართველოში – ასეთ შესანიშნავ ქვეყანაში. ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით ძალიან დიდ მადლობას გიხდით ყველაფრისთვის“. – განაცხადა ბრინკმა. (პირველი რადიო)

*მეცხრე გვერდიდან*

**სიკეთეს მოგვიტანს ეს ხელშეკრულება?**

– ნარჩენების მართვა, მათზე მკაცრი კონტროლი ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა და ეს ამ ხელშეკრულებაშიც გარკვევით წერია. მთავარი მოთხოვნა ნარჩენების მინიმალიზაცია, წარმოქმნის ადგილას სეპარირება და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისთვის ხელშეწყობაა. ამას მთელი საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყვება – გადამამუშავებელი საწარმოების სუფსიდირება, საგადასახადო შეღავათები, რაც ჩვენი ეკონომისტებისთვის გაუგებარია. თუმცა, აბსოლუტურად გასაგებია ევროპელი ეკონომისტებისთვის. დიახ, სახელმწიფომ ფულიც უნდა დახარჯოს გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისა და მუშაობისთვის, სადაც საჭიროა, საგადასახადო შეღავათებიც უნდა დააწესოს, რადგან სხვაგვარად სუფთა გარემოს შექმნა წარმოუდგენელია.

**— ეს უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურები რომ შენდება ჩვენთან სათანადო გეოლოგიური და სხვა კვლევების გარეშე, სათანადო ექსპერტიზის გარეშე, გარემოზე შესაძლო ზემოქმედებას არ ითვალისწინებს და მერე მათი დანაშაულებრივი დაუდევრობა ხან მეწყერს იწვევს და ხან ღვარცოფს, ამის შესახებ რამე წერია იმ ხელშეკრულებაში?**

– კი, ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ნებისმიერი დიდი თუ მცირე ჰესის მშენებლობისას, დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, ყველა შესაძლო საფრთხე, ყველა რისკ-ფაქტორი უნდა გაანალიზდეს და აღიკვეთოს. ევროკავშირის მოთხოვნით, ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა უფრო უნდა გამკაცრდეს. ჩვენ დღეს ეს მკაცრი პროცედურები არ გვაქვს.

რაც უფრო ნაკლები რისკები ექნება კონკრეტულ კომპანიას, რომელიც ჰესს ააშენებს, რაც უფრო დაცული იქნება საფრთხეებისგან, მისთვის უკეთესია. თუნდაც, „დარიალჰესის" მაგალითი ავიღოთ. „დარიალჰესს" არ მოუხდენია ზემოქმედება ბუნებაზე და იმ ბუნებრივ კატასტროფაზე, რაც დარიალის ხეობაში მოხდა. პირიქით, ამ კატასტროფამ მიაყენა უზარმაზარი ზარალი „დარიალჰესს" და დღეს ამ კომპანიის მესვეურთ, უამრავი დამატებითი ხარჯის გაღება უწევთ, რომ ობიექტი მწყობრში ჩააყენონ. ცხადია, ამ ჰესის აშენებამდე ყველაფერი ძირეულად რომ ყოფილიყო გამოკვლეული, ყველა რისკი რომ ყოფილიყო დათვლილი, გამაფრთხილებელი სისტემა იქნებოდა დაყენებული. რაც მთავარია, ხალხი არ დაიღუპებოდა და არც ეს ჰესი მიიღებდა ამხელა ზიანს. გარდა ამისა, ეს ახალი პროცედურები იძლევა იმის გარანტიას, რომ სადაც მაღალია გარემოზე ზემოქმედების საფრთხეები, იქ არ აშენდება ამგვარი ჰესები.



**„დარიალჰესს" არ მოუხდენია ზემოქმედება ბუნებაზე და იმ ბუნებრივ კატასტროფაზე, რაც დარიალის ხეობაში მოხდა. პირიქით, ამ კატასტროფამ მიაყენა უზარმაზარი ზარალი „დარიალჰესს" და დღეს ამ კომპანიის მესვეურთ, უამრავი დამატებითი ხარჯის გაღება უწევთ, რომ ობიექტი მწყობრში ჩააყენონ. ცხადია, ამ ჰესის აშენებამდე ყველაფერი ძირეულად რომ ყოფილიყო გამოკვლეული, ყველა რისკი რომ ყოფილიყო დათვლილი, გამაფრთხილებელი სისტემა იქნებოდა დაყენებული. რაც მთავარია, ხალხი არ დაიღუპებოდა"**

**— კიდევ რა წერია ჩვენთვის სასიკეთო ევროასოცირების ხელშეკრულებაში?**

– უმნიშვნელოვანესია ენერგოდაზოგვის საკითხი. საქართველოში უნდა დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ენერგომატარებლების ყაირათიან მოხმარებას უზრუნველყოფენ. ამასთან მიბმულია ენერგომატარებლების ხარისხის გაუმჯობესების თემაც და საწვავის ხარისხის მკაცრ კონტროლსაც კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან ევროკავშირი. ესეც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებსა და მონიტორინგის გამკაცრებას. საიდანაც უნდათ, იქიდან შემოიტანონ, მაგრამ ველარ გააყალბებენ ხარისხს, ეს არის მნიშვნელოვანი. შესაბამისად, სუფთა, ხარისხიან საწვავზე რომ იმუშავებენ ავტომობილები, მათ მფლობელებს ხარჯი ნაკლები ექნებათ, რადგან ავტომობილის სხვადასხვა დეტალების მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე იკლებს. რაც მთავარია, ჰაერი ნაკლებად დაბინძურდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურბანული დასახლებებისთვის.



**„კანონი გამკაცრდება ბრაკონიერთა მიმართ, შემოღებული იქნება ახალი და მკაცრი მექანიზმები. მონადირეებისთვის კი არანაირი დამატებითი რეგულაციები არ დაწესდება, მათ შეეძლებათ ისევე პატიოსნად ინადირონ, როგორც დღეს ნადირობენ"**

**— გარეული ცხოველებისა და ფრინველების დაცვის კუთხით რა გაკეთდება? ამ მხრივაც გამკაცრდება კანონრეგულაციები? მონადირეები რა სიურპრიზს უნდა ელოდონ?**

– ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ჩვენ „ნაატურა-2000"-ს უნდა შევუერთდეთ. ეს არის ევროკავშირის პროგრამა ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც აიკრძალება. ყველაფერი ნორმირებული იქნება, რასაც ნამდვილი მონადირეები ისედაც ითხოვენ. კანონი გამკაცრდება ბრაკონიერთა მიმართ, შემოღებული იქნება ახალი და მკაცრი მექანიზმები. მონადირეებისთვის კი არანაირი დამატებითი რეგულაციები არ დაწესდება, მათ შეეძლებათ ისევე პატიოსნად ინადირონ, როგორც დღეს ნადირობენ.

**ლევან ღვინიაშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 40 470 ლარი როუმინგისთვის — სამინისტროების სატელეფონო ხარჯები



ორგანიზაცია IDFI-ის ინფორმაციით, 2013 წელს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატების თანამდებობის პირების – შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, სამივლინებო ხარჯებმა ჯამურად 3 121 919 ლარი შეადგინა. ორგანიზაციამ სამივლინებო ხარჯებთან ერთად 2013 წელს როუმინგის მომსახურების ხარჯების შესახებ ინფორმაციაც გამოითხოვა, რომლის მიხედვითაც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხარჯმა 2013 წელს 21 476 ლარი შეადგინა, ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელთა სატელეფონო ზარებმა კი – 18 994 ლარი. როგორც ინფორმაციიდან ირკვევა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წელს როუმინგის ხარჯები საერთოდ არ ჰქონია. რაც შეეხება სხვა სამინისტროებს, ნაწილმა IDFI-ის ინფორმაცია არ მიაწოდა, ნაწილმა კი განაცხადა, რომ კავშირგაბმულობის ხარჯებიდან ცალკე როუმინგის ხარჯების გამოყოფა ვერ მოხერხდა. (პირველი რადიო)

## სამი უძველესი ქართული ეკლესია, შესაძლოა, საოკუპაციო ზოლს მიღმა აღმოჩნდეს



გორის რაიონის სოფელ ქერეს მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. საოკუპაციო რეჟიმმა სოფელთან 500 მეტრის სიგრძეზე მავთულხლართები და რკინის კონსტრუქციები აღმართა. მოსახლეობა შიშობს, რომ, თუ უკანონო სამუშაოები გაგრძელდება, ეგრეთწოდებული საზღვრის მიღმა 3 უძველესი ტაძარი და სასაფლაო ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდება. საუბარია, კერძოდ, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაზე, რომელიც მე-10 საუკუნით თარიღდება, მე-5-6 საუკუნის ღვთაების ეკლესიასა და სამრეკლოზე, რომელიც მე-17 საუკუნეში ააგეს.

გარდა ამისა, ადგილობრივების განცხადებით, მავთულხლართების გავლების შედეგად საოკუპაციო ზოლს მიღმა აღმოჩნდა სარწყავი არხი, შედეგად მოსახლეობა საკუთარ ბაღებს ველარ რწყავს. ამას გარდა, აღნიშნული პროცესის გაგრძელების შემთხვევაში მოსახლეობას საკუთარ ბაღებამდე მისვლა შემოვლითი გზით მოუწევს, თუმცა მათი გადაადგილება არც ამ შემთხვევაში იქნება უსაფრთხო. (პირველი რადიო)

## აეროპორტში დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხა აღმოაჩინეს



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დიდი ოდენობით თანხის დეკლარირების წესის დარღვევით გატანის მცდელობა გამოავლინეს.

უწყების ცნობით, 2 ივლისს რეისით თბილისი-ურუმჩი მიემგზავრებოდა საქართველოს მოქალაქე ფ.ხ., რომელსაც საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი" მებაჟე ოფიცრებმა 90 ათასი დოლარი აღმოუჩინეს.

აღნიშნული კანონდარღვევისთვის, პირს, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით, შეეფარდა ფულადი ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. (პირველი რადიო)

## საწვავი 2014 წელს მესამედ გაძვირდა



საქართველოში საწვავის ფასი ბაზარზე 2012 წელს არსებულ ნიშნულს უბრუნდება. 2014 წლის 6 თვეში ნავთობპროდუქტები უკვე მესამედ 2-4 თეთრით გაძვირდა და ნავთობიმპორტიორების პროგნოზით, შეიძლება კიდევ გაძვირდეს.

საწვავის ფასი, 2 ივლისის მონაცემებით, ბაზარზე მოქმედი 5 კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებზე შემდეგნაირად ფიქსირდება:

„გალფის" ქსელში ევრო რეგულარის ფასი 2,22 თეთრია, რეგულარის ფასი 2,14, დიზელის 2,14. „ლუკოილის" ქსელში სუპერი 2,30; ევრო რეგულარი 2,10; ევრო დიზელი 2,25; დიზელი 2,14 ლარი. „ვისოლის ქსელში აპი სუპერის ფასი – 2,35; ევრო რეგულარის 2,20; ხოლო აპი დიზელის – 2,30 ლარია; „რომპეტროლს" ეფიქს სუპერი 2,35 ლარად, ევრო რეგულარი 2,11 ლარად, ევროდიზელი 2,15 ლარად გამოაქვს. „სოკარის" ქსელში სუპერი 2,32; პრემიუმი 2,22, ევრორეგულარი 2,14 რეგულარი 2,10; ხოლო ევროდიზელი 2,27 ლარი ღირს.

კომპანია „ვისოლის" გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა ამბობს, რომ საწვავის გაძვირების მიზეზი საერთაშორისო პლაცია: „ნავთობზე პლაცი 80 დოლარით არის გაზრდილი. ჩვენც იძულებული გავხდით ნავთობპროდუქტები გაგვეძვირებინა, რადგან ვახორციელებთ იმპორტს და ტრენდის ცვლილება აისახება საცალო ბაზარზე".

„გალფის" მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელის ნინო ჯიბლაძის თქმით: „წელს მესამედ გაიზარდა საწვავზე ფასი. ივნისში პლაცის ფასი 7%-ით გაიზარდა. ივნისის პლაციდან გამომდინარე, 2-3 თეთრით გავზარდეთ. დღესაც ევრორეგულარზე მოიმატა ფასმა კიდევ 2 თეთრით, წესით, ფასი აქ უნდა გაჩერდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, პლაცი არის არაპროგნოზირებადი".

2014 წლის ივლისში რეგულარის საწვავის ფასი 2,10 ლარია. მაისის მონაცემებით, ამ საწვავის 1 ლიტრის ფასი საცალო ქსელში 2.03 ლარი იყო. 2012 წელს ამ ტიპის საწვავის ფასი 2,12 ლარი იყო, 2013 წელს, 1,99 ლარი.

საწვავის ფასზე ისაუბრა გადაცემა „ბიზნესკურიერში" პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „კარტელური შეთანხმების ფასი 30-40 თეთრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. ვთქვათ, 20-დან 30 თეთრამდე. რეალურად მე მგონია, რომ ეს შეთანხმება გარკვეულწილად არსებობს. უბრალოდ, ის „ნაციონალური მოძრაობის" ჯიბეში აღარ მიდის, მაგრამ ის ნაწილი გარკვეულწილად დაიტოვეს კომპანიებმა. ეს ორივეს აწყობს, ერთი ამბობს, რომ გაცვლითი კურსი იზრდება, ფასს არათუ შევამცირებ, გავზრდი. „ნაციონალური მოძრაობა" ამბობს, თქვენ („ქართული ოცნება") ხომ კარტელური გარიგების ფასს ერთ ლარს ამბობდით. ერთ ლარს არავინ არ ამბობდა. იყო ამ ციფრებზე ლაპარაკი, 30-40 თეთრზე, საიდანაც ნაწილი შემცირდა და ნაწილი დარჩა. ჩემი აზრით, იგივე კარტელური გარიგების საფუძველზე ისევ კომპანიების ჯიბეში მიდის. საწვავის ფასში გარკვეული რეზერვი არსებობს, რაც მგონია, რომ „კონკურენციის შესახებ კანონი მიღებულია" და შესაბამისი სააგენტო დაინტერესდება". (ნეტგაზეთი)

# სამსახურიდან წულუკიანთან შეხვედრის გამო დაითხოვეს



**„ალიას“ ესაუბრება სამოქალაქო რეესტრის ყოფილი თანამშრომელი ირაკლი ქველაძე:**

– დავიწყებ იმით, რომ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხზე, დღემდე სამსახურში არიან. საქმის დეტალები სიტყვიერად თანხმდებოდა. საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, ამაზე რაიმე დოკუმენტური მასალა, შეუძლებელია, არსებობდეს, მაგრამ წარმოუდგენელია, დეპარტამენტის თავმჯდომარეს არ დააკისრონ პოლიტიკური ვალდებულება. არსებობს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახური, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელი. ეს თანამდებობის პირები, ვინც პირდაპირი თუ ირიბი ფორმით გახლდნენ შემსრულებელი მაშინდელი მოქალაქეობის უკანონოდ ჩამორთმევის, რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩნენ და დღემდე მათი პასუხისმგებლობის საკითხი არავის გახსენებია.

**— პირად საუბარში მითხარით, რომ სამართლიანობის აღდგენა თანამდებობაზე წინა ხელისუფლების დროს დანიშნული პირების პოლიტიკური მსახურების მენტალობის გამო ჭირს, ამავე დროს, ზეპირი უკანონო მითითებების მორჩილება გვიწევდაო. კონკრეტულად რა მითითებები იყო და ვისგან მოდიოდა ის?**

– უამრავი ადამიანი გამოხატავდა უკმაყოფილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო. ამიტომ მე ვიკისრე პასუხისმგებლობა და თანამშრომლებთან ერთად ვთხოვე შეხვედრა ქალბატონ წულუკიანს, რათა წლების განმავლობაში გაუსაძლისი პირობების შესახებ საქმის კურსში ჩამეყენებინა. პრობლემები გვქონდა წლების განმავლობაში შვებულების არარსებობასთან დაკავშირებით, შაბათ-კვირა იძულებითი სამუშაო გრაფიკის შემოღების ფაქტთან, უქმე დღეებში ანაზღაურების გარეშე, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი ზეპირი მითითებების საფუძველზე გვიწევდა მუშაობა. ვმუშაობდით ყოველდღე იმ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, რომელიც დაზუსტებას საჭიროებდა. სწორედ ქალბატონ წულუკიანთან შეხვედრის შემდეგ, სამსახურიდან გამათავისუფლეს და რატომ, დაზუსტებით ვერ გეტყვით. საქმე სასამართლოშია და ველოდები პროცესის გამართვას, რომელიც მიმდინარე თვეშია ჩანიშნული.

ქალბატონი მინისტრი ჩავაყენე საქმის კურსში, რა ხდებოდა წლების განმავლობაში მის უწყებაში. წინა ხელისუფლების პირობებში უკანონო ზეპირი დირექტივების მორჩილება და შესრულება გვევალებოდა, ნორმალური მუშაობის გრაფიკი კი არა, სიცოცხლის, ფიზიკურად ნორმალური მუშაობის საშუალებაც კი არ არსებობდა. უჰაერობის გამო თანამშრომლებს გული მისდიოდათ, ნახევარი საათით ვერ ვახერხებდით დასვენებას. ტექნიკური ხარვეზები კიდევ უფრო დიდ პრობლემებს ქმნიდა ნორმალური მუშაობისთვის, მხედველობაში მაქვს ტექნიკური გაუმართაობა, პროგრამული ხარვეზები და ა.შ. ეტყობა, ეს არ მაპატიეს.

**— თქვენ რომ არ გეთქვათ, წულუკიანმა არ იცოდა, რა ხდებოდა მის უწყებაში?**

– შეიძლება ასეც ითქვას. წარმოიდგინეთ ადამიანები, რომელთაც ოჯახი ჰყავთ და სხვაგან წასასვლელი არსად არ აქვთ, იძულებულები იყვნენ, შეესრულებინათ დავალებები, რომელიც სამსახურის შემდეგ დამატებით დროს მოითხოვდა და ხშირად ეს ღამის 10-11 საათზეც კი მთავრდებოდა. ძალიან ჰგავს ეს ტრეფიკინგის ნომენკლატურულ დანაშაულს, იძულებითი შრომა, არასათანადო პირობებში, არასათანადო ანაზღაურებით. ბევრი რამ შეიძლება ჯერ კიდევ არ იცის წულუკიანმა, მას თუ სჯერა იმ კადრების გულისხმიერების, ვინც მის პოლიტიკურ ლიდერს მოქალაქეობა ჩამოართვა, ძალიან მიამიტი უნდა იყოს. ვარწმუნებ, ბევრი რამ ხდება მისი გვერდის ავლით სინამდვილეში. მას ვერ წარმოუდგენია, მათი პოლიტიკური თავხედობის, ადამიანების, ვინც გაუგონარი პოლიტიკური მსახურების შემდეგ აგრძელებენ იმ მთავრობის პირობებში მუშაობას, ვინც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მეთოდს იყენებდა.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილმა ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ს საელჩოში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ამერიკელ ხალხს ქართველი ხალხის სახელით დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„მინდა მივულოცო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ასევე აშშ-ის თითოეულ მოქალაქეს და მთლიანად ამერიკას დღევანდელი დღე. ეს არის მართლაც მნიშვნელოვანი დღე ამერიკის თითოეული მოქალაქისთვის. ამერიკა ჩვენთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი და მოკავშირე. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ აშშ-ის მხარდაჭერასა და დახმარებას ყველა მიმართულებით, ყველა სფეროში და ჩვენ, ქართველებს, გვახსოვს ამერიკელების დახმარება მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვუერთდები იმ მილოცვებს, რომელიც გაჟღერდება. მინდა, გულითადად ვუსურვო ამერიკას და მის მოქალაქეებს ძალიან დიდი წარმატება ყველა სფეროში“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (რეპორტიორი)

## იუსტიციის სამინისტრო სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის აღდგენაზე მუშაობს



სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი შესაძლოა, კვლავ ამოქმედდეს. კანონპროექტს იუსტიციის სამინისტრო ამზადებს. როგორც უწყებაში განმარტავენ:

„იუსტიციის სამინისტრო თავიდანვე იყო უპირობო შეკრებითობის პრინციპის არსებობის წინააღმდეგი, რაც შეიცვალა და დღეს აღარ მოქმედებს. რაც შეეხება იმას, რატომ არ უნდა იყოს მხოლოდ შთანთქმის პრინციპი და რატომ არის მიზანშეწონილი როგორც შთანთქმის, ასევე ნაწილობრივი, ან სრულად შეკრებითობის პრინციპი რომ არსებობდეს – პირველი ეს არის პრაქტიკაში ნაჩვენები პრობლემები. ჩვენ უპირობო შეკრებითობის პრინციპს არ ვუბრუნდებით. უბრალოდ, მოსამართლეს საშუალება ექნება, ორივე გამოიყენოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – კანონის ფუძემდებლური პრინციპია, რომ მოხდეს სასჯელის ინდივიდუალიზაცია“, – განმარტავენ იუსტიციის სამინისტროში.

სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი პარლამენტმა გასულ წელს გააუქმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, რომ გია დგებუაძის ექსტრადირება მოხდეს“



მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის ირაკლი შოთაძის განაცხადებით, გია დგებუაძის ექსტრადირების საკითხთან დაკავშირებით ჰოლანდიის მხარეს შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გადაეგზავნა. შოთაძე კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ექსტრადაციის კონკრეტულ თარიღს ამ ეტაპზე ვერ ასახელებს.

„ყველა სახელმწიფოს ინდივიდუალური ვადები აქვს ექსტადიციის საკითხზე. გია დგებუაძე 2 საქმეზეა პასუხისგებაში მიცემული. ერთი ეხება თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, მეორე კი, ნავთლუღის სპეცოპერაციისას არასრულწლოვანი მოქალაქეების განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობას. ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, რომ მოხდეს მისი საქართველოში ექსტრადირება“, – განაცხადა შოთაძემ.

გია დგებუაძე, მეტსახელად „მასტერა“, ჰოლანდიაში მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე დააკავეს. (რეპორტიორი)

## „მასტერას“ საქართველოში ექსტრადირება ნაკლებად მოსალოდნელია?




გიორგი დგებუაძის, იგივე „მასტერას“ ჰოლანდიელი ადვოკატი ფიქრობს, რომ ჰოლანდიის მხარე საქართველოს პროკურატურის მოთხოვნას ექსტრადირებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილებს. ადვოკატის თქმით, ის უკვე გაეცნო იმ დოკუმენტაციას, რომელიც საქართველოს პროკურატურამ ჰოლანდიის მხარეს გადაუგზავნა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰოლანდიის მხარე ექსტრადირებას დასთანხმდება. მაიკლ კოლეტი გიორგი დგებუაძის დაკავების პოლიტიკურ მოტივზე საუბრობს და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროკურატურის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, არ არის გამორიცხული, „მასტერას“ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიენიჭოს. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, ის 9 ივლისამდე უნდა ჩატარდეს.

„უფრო მეტად ეს პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმეა, ვინაიდან დგებუაძემ უკვე მიმართა ნიდერლანდებს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. მან კარგად ახსნა, თუ რატომ არსებობს ეს პრობლემა. წარსულში ის წინა ხელისუფლებაში მუშაობდა. ახლა საქართველოში სხვა მთავრობაა, რასაც, როგორც ჩანს, კავშირი აქვს ამ საქმესთან და საქართველოში მისი ექსტრადირება ნაკლებად მოსალოდნელია“, – განაცხადა „მაესტროსთან“ მაიკლ კოლეტმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსი გიორგი დგებუაძე ამ დროისთვის ზუტერმერის ციხეშია მოთავსებული. (პირველი რადიო)

## „ნაციონალური მოძრაობის“ 5 კითხვა კახა კალაძეს




„ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს 5 კითხვით მიმართავს:

1. რატომ არ არის აქამდე საზოგადოებისთვის წარდგენილი აეროპორტის სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერი?

2. რატომ არ არის აქამდე საზოგადოებისათვის წარდგენილი სარფის საბაჟოს სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერი?

3. რატომ არ არის აქამდე გამოძიებული ბათუმის პროკურორის მანქანის დაწვის საკითხი?

4. რატომ არ არის აქამდე საზოგადოებისთვის ცნობილი დარბაისელის ქურდებთან შეხვედრის საკითხი?

5. დღესაც აღგაფრთოვანებთ თუ არა არჩევნების წინ ქურდული სამყაროს 8 წევრთან შეხვედრა? (პირველი რადიო)

## ინა გუდავაძის თათბირი „იმედში“



ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი ინა გუდავაძე თბილისშია. საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, არხის მეპატრონე საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს 2 ივლისს, გვიან ღამით შეხვდა და მათ საზაფხულო ტრენინგის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ნათია აბრამია წარუდგინა, საინფორმაციო სამსახურში და არხზე დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა. ჩვენი ინფორმაციით, მიუხედავად ამ თათბირისა, კვლავ ღიად დარჩა საკითხი, ვინ გახდება საინფორმაციო სამსახურის უფროსი და ხომ არ შეიძლება, ეს პოსტი ტრენინგის დასრულების შემდეგ თავად აბრამიამ დაიკავოს. (პირველი რადიო)


თინათინ ტურძილაძე

# როგორ ავიცილოთ თავიდან ფალსიფიცირებული წამლის შეძენა...

**ბოლო დროს სოციალურ ქსელებში არაერთხელ წავაწყდი ინფორმაციას, რომ აფთიაქებში ფალსიფიცირებული წამლების შეძენის ფაქტებმა იმატა.**

**რა ხდება რეალურად, ამის გასარკვევად „ალია“ ჯანდაცვის კონსულტანტს, ჯანდაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს, თინათინ ტურძილაძეს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო თინა, როგორც სოციალურ ქსელებში წერენ, ფალსიფიცირებული წამლების შეძენის ფაქტები მომრავლებულა. ხომ არ იცით, რა ხდება?**

– კონკრეტული ფაქტების შესახებ არ მსმენია, მაგრამ ფალსიფიცირებული წამლების გამოვლენისა და შესწავლის პრობლემა ნამდვილად დგას. მოქმედი რეგულაცია, სრულიად ფორმალურია და ვერ იცავს ბაზარს. წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომ რეგისტრაციის დროს დაწუნებული წამალი, დაშვებული იქნება ბაზარზე, თუკი ადმინისტრაციული ორგანო დაარღვევს მწარმოებლისთვის რეგისტრაციაზე უარს თქმის შეტყობინების 10-დღიან ვადას. აი, ამ იდეოლოგიის რეგულაცია აქვს დღეს ქვეყანას და უვარგისი წამლების შემოტანაც არ უნდა გაგვიკვირდეს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქართულ ბაზარზე, უკვე წლებია, ფალსიფიკაცია არ გამოვლენილა, რადგან სისტემა ვერ ახერხებს პრობლემების იდენტიფიცირებას და გვაქვს ფალსიფიცირების გამოვლენის ნულოვანი სტატისტიკა.

ჩვენგან განსხვავებით ყველა აღიარებს საკუთარ ბაზარზე ფალსიფიცირების პრობლემას და ახდენს მის ნაწილობრივ გამოვლენასაც. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ დასრულდა სასამართლო პროცესი რუსეთში, როსტოვის ოლქში, სადაც იხილებოდა წამლების ფალსიფიკაციის ორგანიზებული დანაშაული. 2012 წელს სამართალდამცავებმა დააკავეს ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებიც საცხოვრებელი ბინის ტერიტორიაზე და ერთ-ერთი საწყობის არალეგალურ სათავსში ახორციელებდნენ ვადაგასული ამპულების ხელახალ მარკირებას და ონკოლოგიური წამლების ფალსიფიკაციას. ამ საქმიანობას ეწეოდნენ 2009-2012 წლებში, მარტო დაკავების და ჩხრეკის მომენტში 700 ათასი ერთეული ფალსიფიცირებული წამალი იქნა ამოღებული. მეორე საინტერესო ფაქტსაც გეტყვით. პეტერბურგის სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს ფალსიფიცირებული წამლების მწარმოებელი საამქრო, სადაც 18 დასახელების ფალსიფიკატები აღმოჩნდა, მათ შორის, „ესენციალე ფორტე“, „ნოშპა“, „სუპრასტინი“, „კავინტონი“ და ა.შ. იქვე იბეჭდებოდა და მზადდებოდა მაღალხარისხიანი შეფუთვები და დამცავი ჰოლოგრამები. წამლები ვაგონებით იგზავნებოდა მთელ რუსეთში და ვრცელდებოდა დსთ-ს ქვეყნებშიც. ვიზუალურად ძალიან რთული გასარჩევი იყო ნამდვილისგან. ჩამოთვლილი წამლები ძალიან მოთხოვნადია და შესაძლოა, საქართველოშიც შემოსულიყო. ეს მაგალითები საქართველოში ფალსიფიკაციის ნულოვანი სტატისტიკის საპირწონედ მოვიყვანე. სახელმწიფომ უნდა გააცნობიეროს ეს პრობლემა და რეალურად დაიწყოს მის მოვლაზე ზრუნვა.

**— თქვენ რომ ჩამოთვალეთ, ასეთი წამლები რომ დალიოს ადამიანმა, რა მოუვა?**

– გააჩნია ფალსიფიკაციას და გააჩნია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მსოფლიოში ფალსიფიკაციის შესახებ, არსებული სტატისტიკის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფალსიფიცირებული წამლების 60% საერთოდ არ შეიცავდა აქტიურ ინგრედიენტს, 19% შეიცავდა არასტანდარტული რაოდენობით, 16% კი შეიცავდა მარკირებულისგან განსხვავებულ აქტიურ ინგრედიენტს. ამ კონტექსტში გართულება შეიძლება იყოს მარტივი გვერდითი მოვლენებიდან დაწყებული, ლეტალობით დამთავრებული.

**— ძირითადად როგორი სახის მედიკამენტებია ფალსიფიცირებული, ადგილობრივი წარმოების თუ შემოტანილი?**

– მნიშვნელობა არ აქვს, როგორც წესი, აყალბებენ იმას, რაზეც დიდია მოთხოვნა. ამიტომ ფალსიფიცირების სპექტრი განსხვავებულია განვითარებული და განვითარებადი ბაზრებისთვის, ჩვენი ტიპის ბაზრებზე, ძირითადად ანტიბიოტიკების, ანტიდიარეული წამლების, ჰორმონალური, ანტიმიკოზური საშუალებების, ანალგეტიკების გაყალბება ხდება, ამ ბოლო პერიოდში გაიზარდა ონკოლოგიური პრეპარატების ფალსიფიცირების შემთხვევებიც. ამიტომ, სასურველია წამალი ბრენდირებულ აფთიაქებში შეიძინოთ.

**— წეღან თქვით ფალსიფიცირების გამოვლენის ნულოვანი სტატისტიკა გვაქვსო და ამის მიზეზი მხოლოდ კანონმდებლობაა?**

– აგიხსნით, რა სიტუაციაა. ძლიერი მარეგულირებელი სისტემების მქონე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, და ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში წამლების ავტომატიზებული მიკვლევადობის სისტემის აწყობა ჩათვალეს მიზანშეწონილად, ეს სისტემა წამლის მოწოდებისა და განაწილების სრულ ავტომატიზაციასა და რეალურ ვადებში მის ონლაინ მოკვლევადობას უზრუნველყოფს, ანუ რეალურ ვადებში ხდება შესაძლებელი, დადგინდეს, რა გზა გაიარა, რა პირობებში და ვისი პასუხისმგებლობის რეჟიმში იმოძრავა წამალმა მწარმოებლიდან პაციენტამდე. რაც შეეხება ჩვენს სისტემას, მას არა აქვს არც ერთი ბაზისური ბერკეტი საიმისოდ, რომ რეალურ ვადებში მიაკვლიოს წუნდებულ წამალს და აღმოაჩინოს წუნდების მიზეზი.

**— ვინაა ამ საკითხზე პასუხისმგებელი ორგანო?**

– ყველგან წამლების უსაფრთხოებაზე, ეფექტურობასა და ხარისხზე თავად წამლის მწარმოებელი კომპანიები არიან პასუხისმგებელი, ასეა ევროპაშიც, ამერიკაშიც და მოკლედ, ყველგან, მხოლოდ ჩვენთან არის განსხვავებულად. ქართული რეგულაციით შემოტანილ წამლების ხარისხზე, უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა.

**„ალია“ კომენტარისთვის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დაუკავშირდა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით მაჭარაშვილმა პასუხი წერილობით მოგვაწოდა:**

„თქვენი კითხვის პასუხი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პირველი ეხება სამკურნალო საშუალებების ფალსიფიცირებისა და სუბსტანდარტულობის პრობლემას, ხოლო მეორე ფარმაცევტული სფეროს მარეგულირებელ, დღეს მოქმედ ლიბერალურ კანონმდებლობას. უკანასკნელ დროს, მედიასაშუალებებში ხშირად ქვეყნდება მოსაზრებები ფარმაცევტულ ბაზარზე ფალსიფიცირებული და წუნდებული მედიკამენტების არსებობასთან დაკავშირებით. ეს მსოფლიოს გლობალური პრობლემაა და საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი. თუმცა, საქართველოს სინამდვილეში, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გამოთქმული შეფასებები გადაჭარბებულია, მოკლებულია კონკრეტიზაციას და ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობაში შიშისა და უნდობლობის გამოწვევა უფრო ხდება, ვიდრე დარგის განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ყოველი სუბსტანდარტული წამლის მიმოქცევისა და ფალსიფიკაციის გამოვლენის ფაქტი, ან ამ ფაქტის არსებობის ეჭვი, უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და არა ზოგადი, დაუსაბუთებელი ფორმით მოსაზრების კონსტატაცია. მხოლოდ მსგავს შემთხვევაში ექნება სააგენტოს ოპერატიული რეაგირების საშუალება. სააგენტო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წამლის ხარისხის სახელმწიფო ზედამხედველობას.

რაც შეეხება პრობლემის მეორე მხარეს, ფარმაცევტული სფეროს მარეგულირებელ, დღეს მოქმედ ლიბერალურ კანონმდებლობას: აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2009 წლის ოქტომბერში „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავდა მედიკამენტებზე მოსახლეობის ფიზიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ზრდას, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. ლიბერალურმა რეგულაციებმა მოიტანეს გარკვეული დადებითი შედეგები, თუმცა, რიგი საკითხებისა კვლავაც საჭიროებს გადაწყვეტას საკანონმდებლო დონეზე. სააგენტო აქტუალურად მიიჩნევს ფარმაცევტული სექტორის რეგულაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და ინტენსიურად მუშაობს სამინისტროს შესაბამის უწყებებთან. საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულება თავისთავად ითხოვს საქართველოს ფარმაცევტული სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობას ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან. უკვე ძალაში შევიდა რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი. ასევე, მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი პაკეტი, სადაც გათვალისწინებულია წამლის ხარისხის, ეფექტურობისა და უსაფრთხოების რეგულაციასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ცვლილების პროექტი სამინისტროში განხილვის პროცესშია“.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მაშველებმა ფეხმოტეხილი ტურისტი ხეობიდან ამოიყვანეს




შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა, ლენტეხის რაიონში ჩატარებული სამაშველო ღონისძიების შედეგად, ლატფარის უღელტეხილთან, ხეობიდან ფეხმოტეხილი ტურისტი ამოიყვანეს.

დეპარტამენტში შევიდა შეტყობინება, რომ ლენტეხის რაიონში, სოფელ ტვიდთან კანადელ ტურისტს – 1984 წელს დაბადებულ ბერგ მათიუ ვეინს ჩანჩქერთან, კლდის ქიმზე ფეხი დაუცურდა და ხევში ჩავარდა. ფეხმოტეხილ ტურისტს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება. სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე ვერტმფრენით შემთხვევის ადგილზე ჩავიდა. პირველადი სამედიცინო დახმარება დაშავებულს ადგილზევე აღმოუჩინეს, ხევიდან საკაცით ამოიყვანეს და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ლენტეხში ჩაიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ იგი რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისთვის დაშავებული ტურისტის მდგომარეობა სტაბილურია. (ნიუპოსტი)

## 20 000 ლარიანი ავტომანქანის შეძენისთვის მსჯავრდებული ხონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე უდანაშაულოდ ცნეს



თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული ხონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი გელენიძე უზენაესმა სასამართლომ გაამართლა.

საქმის მასალების მიხედვით, გელენიძის მიერ ჩადენილი დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ მან ხონის საკრებულოს წევრის, პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის ძმისგან, ლევან ბობოხიძისაგან ელექტრონული ტენდერის გზით „ნისანის" მარკის მეორადი ავტომობილი 20 000 ლარად ბიუჯეტის ფულით შეიძინა, ხოლო ტენდერი უკანონო იყო. გელენიძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით 7 000 ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული. (news.ge)

## ლიანა ისაკაძის სკანდალური მიმართვა ხელისუფლებას



– როგორც მე ვატო მაჭავარიანმა გადმომცა, თურმე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის უთქვამს მისთვის, რომ ლიანა ისაკაძემ თავისი ფესტივალით „გაგვძარცვა" და ერთი ვიოლინო მაინც ეყიდა ათწლედისთვისო! ეს მე ძალიან მეწყინა და მივხვდი, რომ ახალმა მთავრობამ არაფერი იცის ჩემს საქველმოქმედო მოღვაწეობაზე! შესაძლოა, თქვენ არ კი იცით და მე მინდა გთხოვოთ, რომ გაავრცელოთ შემდეგი:

1. როცა მე 1990 წელს წავიყვანე ინგოლშტატში ორკესტრი, მთელი ორკესტრი განაგრძობდა საქართველოში ხელფასის მიღებას – ესე იგი იღებდა ხელფასს ორჯერ – ჩემგან გერმანიაში და საქართველოში. მე ვუხდიდი მათ საპენსიო დაზღვევასაც, რის შედეგად ისინი იღებენ პენსიას, მე კი, ვინაიდან ჩემთვისაც რომ გადამეხადა ეს დაზღვევა, მაშინ ორკესტრს აღარ ეყოფოდა ხელფასი, ამიტომ მე ვერ ვიღებ პენსიას გერმანიაში!.. შედეგად, მთელი ორკესტრი იღებს გერმანიაში პენსიას, მე კი არ ვიღებ!

2. მე არასდროს არ მიმიღია საქართველოში ხელფასი გერმანიაში ყოფნის დროს, იმიტომ რომ, იმ ხელფასით ვასპონსორებდი გერმანიაში სწავლისთვის: 1. კონსერვატორიის ახლანდელ დირექტორს, რომელმაც ამას წინათ თვითონ გამახსენა – მე არც მახსოვდა! 2. ნოდარ გაბუნიას შვილს, ნატო გაბუნიას; 3. სულხან ცინცაძის შვილს; 4, აგრეთვე თბილისში დებ დავითაშვილებს და კიდევ ერთ მევიოლინეს – დამავიწყდა გვარი, მგონი, მარიამ მაღრაძეს!

აგრეთვე, როცა ომი მოხდა აფხაზეთში, მე გერმანიიდან გადავუგზავნე დაჭრილ ქართველ მეომრებს 100 000 მარკის უნიკალური წამლები თვითმფრინავით! მაშინ ამაზე კი წერდნენ გაზეთები, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი რატომღაც ყველამ დაივიწყა ან საერთოდ ახალმა მთავრობამ არც კი იცის ამის შესახებ! ალბათ, თქვენც კი არ იცით! მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც მის მიერ გაკეთებულ სიკეთეზე ყვირის! მაგრამ როცა ასე უსამართლოდ ლაპარაკობენ ჩემზე, მაშინ მე ძალიან მწყინს და მაქვს უფლება, მოვყვე სიმართლე! ამიტომ გთხოვთ, ეს გადაუგზავნოთ არა მარტო ოდიშარიას და მის მოადგილეს, ბაგრატიონ-გრუზინსკის, არამედ თვით პრეზიდენტსაც და ბატონ ბიძინასაც, რომელთაც შესაძლოა, ჰგონიათ, რომ მე მარტო ვითხოვ ფულს და არაფერს ვაძლევ საქართველოს! გთხოვთ, ყველას მიაწვდინოთ, რომ თუ საქართველოს არ უნდა ჩემი ბათუმის ფესტივალი, მაშინ მე საერთოდ აღარასდროს აღარ ჩამოვალ თბილისში, ვინაიდან მე მაქვს უფრო საინტერესო გეგმები – მომავალ წელს მინდა ჩავატარო ნიუ-იორკის „კარნეგი ჰოლში" ახალი ფესტივალი. ჩემს სპონსორს და მის ნიუ-იორკელ ორგანიზატორს ძალიან მოსწონთ ეს ფესტივალი და უნდათ, აგრეთვე, ვაშინგტონში ჩაატარონ და ამბობენ, რომ დაპატიჟებენ ჰილარი კლინტონს და სხვა დიდ პიროვნებებს. გვინდოდა, ეს ფესტივალი ყოფილიყო ჩვენი პრეზიდენტისა და პატრიარქის პატრონაჟით, აგრეთვე, თბილისში და მოსკოვში, მაგრამ თუ ასეთ სიძულვილს გამოხატავს ახალი მთავრობა და ალბათ, პრეზიდენტიც და ივანიშვილიც ჩემ მიმართ, მაშინ რა თქმა უნდა, თბილისში აღარ ჩავატარებ, მაგრამ იქნებ ვცდები და ამიტომ გთხოვთ, მიკარნახოთ, როგორ შეიძლება მივწვდე პრეზიდენტს ამ თხოვნით? ეს მინდოდა მეთქვა და გთხოვთ, ეს წერილი ყველას აცნობოთ, რომ არავის ეგონოს, რომ მე საქართველოსთვის არაფერი გამიკეთებია! ჩემს მსოფლიო შემოქმედებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ! მაპატიეთ, რომ გაწუხებთ! გკოცნით და გეხვევით ყველას! თქვენი ლიანა ისაკაძე.

დამავიწყდა კიდევ ერთი რამ! არავინ იცის, რომ ლიზა ბათიაშვილს რომ ესწავლა გერმანიაში, ამის გულისთვის ჩემი ორკესტრის წევრებთან მომიხდა უთანხმოება მისი მამის გამო, რომელიც მარტო ვერ უშვებდა 13 წლის ლიზიკოს გერმანიაში, – მომიხდა მთელი კვარტეტის ჩამოყვანა, რის გამოც მთელი ორკესტრი ამიჯანყდა – რად გვინდა ეს კვარტეტიო. მაგრამ ვინაიდან ორკესტრის წევრის ცოლი და თვით ორკესტრანტი მაღაზიაში ქურდობისთვის გააძევა პოლიციამ თბილისში და ქმარიც სოლიდარობის გამო თან გაჰყვა, ამიტომ ადგილები თავისუფალი იყო და ჩამოვიყვანე მთელი კვარტეტი. ლიზა ბათიაშვილს კი არც ერთ თავის ინტერვიუში არასდროს არ უხსენებია, თუ ვისი მეშვეობით ჩამოვიდა გერმანიაში და გააკეთა ასეთი კარიერა! ვფიქრობ, როცა ადამიანი სინდისისგან გარეცხილია, ის ვერასდროს ვერ იქნება ნამდვილი და კარგი მუსიკოსი!! კიდევ ერთხელ გკოცნით – ლიანა ისაკაძე...

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ლიანა ისაკაძის მიმართვას პასუხობს. როგორც სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, უწყება ფესტივალ „ღამის სერენადებს" პრიორიტეტულ პროექტად მიიჩნევს, რომელიც გასული წლის მსგავსად წელსაც 110 ათასი ლარით ფინანსდება.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მხარს უჭერს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს – „ღამის სერენადები", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია გამოჩენილი ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე.

აღნიშნული ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრიორიტეტულ პროექტად სახელდება და გასული წლის მსგავსად, 2014 წელსაც 110 ათასი ლარით ფინანსდება.

საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალ „ღამის სერენადების" ჩატარება ბათუმის საზაფხულო თეატრში აგვისტოშია დაგეგმილი", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

***newposts.ge***

## სოფი სააკაშვილი სტეფანეს ,,ფეისბუკზე" წერილს უძღვნის



„X ფაქტორის" მონაწილე სოფი სააკაშვილი, რომელმაც პროექტი დატოვა, საკუთარ მენტორს მადლობას „ფეისბუკიდან" უხდის

– დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ჩემს მენტორს, რომელმაც სადამდეც შეძლო, გადამარჩინა და მომცა საშუალება, აქამდე მოვსულიყავი. მე უბედნიერესი ვარ, რომ მომიწია მუშაობა ისეთ პროფესიონალ ადამიანთან ერთად, როგორიც არის სტეფანე, ამ დროის მანძილზე ბევრი ახალი სიმღერა აღმომაჩენინა და ერთ-ერთია Rachelle Farrel-ს i forgive you.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მისი გემოვნება საუკუნით წინ არის და ამას ამ ქვეყანაში დიდხანს ვერ გაიგებენ, მიყვახარ და ამაყი ვარ, რომ მე შენს გუნდში ვიყავი, ამაყი ვარ, რადგან შენი დახმარებით გავაკეთე ის, რასაც ჰქვია performance, და ამაყი ვარ, რომ გიცნობ love you daddy", – წერს სააკაშვილი

***newposts.ge***

## ქორწინდებიან თუ არა ჯულიანა და გიორგი ყიფშიძე?



ჯულიანა ბარ-გნარისა და გიორგი ყიფშიძის რომანზე მთელი თბილისი ალაპარაკდა. მათი ურთიერთობის შესახებ ცნობილი რამდენიმე კვირის წინ გახდა. წყვილმა ერთმანეთი „ცეკვავენ ვარსკვლავების" გასულ სეზონზე გაიცნო, სადაც გიორგი და ჯულიანა მეწყვილეები იყვნენ.

თითქმის მთელი საქართველო მათ გულშემატკივრობდა, მაგრამ გამარჯვება ვერ მოახერხეს. ჯულიანა მაშინ ამბობდა, რომ გიორგი მას არ ეფლირტავებოდა, პირიქით, მსახიობთან და მის მეუღლესთან, ანი ჩიკვილაძესთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მეგობრობა სიყვარულის საწინდარი გახდა, როგორც ამბობენ, ჯულიანა და გიორგი ყიფშიძე შემოდგომაზე დაქორწინებასაც აპირებენ.

იმასაც ამბობენ, რომ მსახიობმა ჯულიანას გამო ცოლი გაუშვა. თუმცა ჭორის გადამოწმება გიორგი ყიფშიძესთან ვერ შევძელით. მისი ოჯახის წევრები კი აცხადებენ, რომ გიორგის პირად ცხოვრებაში არ ერევიან.

ანი ჩიკვილაძე გიორგი ყიფშიძის მეორე ცოლია, მანამდე ის კრისტი ყიფშიძეზე იყო დაქორწინებული, რომელთანაც ქალიშვილი, ნატაშკა ჰყავს. მეორე ქორწინებიდან მსახიობს ნანატრი ვაჟი ჰყავს, პატარა ალექსანდრე რამდენიმეწლიანი ლოდინის შემდეგ გაჩნდა.



გიორგი და ჯულიანა უკვე აღარ ერიდებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთად გამოჩენას. ისინი „ცეკვავენ ვარსკვლავების" სხვა კონკურსანტებთან ერთად ხშირად დადიან გასართობად.

ჯულიანა ბარ-გნარი:

– არ ვაპირებ ამ თემაზე არანაირი კომენტარის გაკეთებას. ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა და არ მინდა ხმამაღლა საუბარი...

არც ერთ კითხვაზე აღარ გიპასუხებთ, მე არ ვაპირებ დაქორწინებას და გიორგი რას აპირებს, არ ვიცი, მთავარია, რომ ბედნიერი ვარ.

***ambebi.ge***



## ოთო ნემსაძე დაინიშნა

მომღერალი ოთო ნემსაძე გუშინ დაინიშნა. ცოლის მოყვანა ზაფხულში ჰქონდა დაგეგმილი და გეგმების შესრულებას უკვე შეუდგა. ოთოსა და თამთას სასიყვარულო ურთიერთობა უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება. წყვილი მილოცვებს მეგობრებისგან „ფეისბუკზე" იღებს.

***primetimenews.ge***

## მიშო ელიავას სიყვარულის ისტორია — ,,ნინოს ,,ბაბნიკი" ვეგონე"



მიშო ელივიას „X ფაქტორში" ყველაზე ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, მას გოგონებმა „ფეისბუკზე" გვერდებიც კი შეუქმნეს – „ჩვენ გვიყვარს მიშო ელიავა", „მიშო ელიავასგან შვილის გაჩენა მინდა" და ასე შემდეგ. ამბობენ, თავდაჯერებული ჩანს და გარეგნობით სარგებლობსო. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა თავის შეყვარებულზეც, სანამ ნინო ახლოს გაიცნობდა. მიშო ელიავა ორი წელია შეყვარებულია. მისი რჩეული ნინო ლეკვეიშვილია. ერთმანეთი ილიას უნივერსიტეტში გაიცნეს.

***მიშო ელიავა:*** არის მომენტი, როდესაც ადამიანს არ იცნობ, მაგრამ უყურებ და რაღაც ასოციაცია გიჩნდება, თუმცა ვერ ხვდები, რა და საიდან. რაღაცნაირად ხვდები, რომ აქამდეც იცნობდი, ძალიან გემშობლიურება. ნინო ხუმრობს, მანამდეც გყავდი ნანახი და არ გახსოვდიო. პირველი, რამაც ყურადღება მიიქცია, ეს ნინოს ღიმილი იყო. მივესალმე და გამიღიმა.

***ნინო ლეკვეიშვილი:*** პირველივე დღეს მითხრა, რა ლამაზი ღიმილი გაქვსო. და გაოცებული ვუყურებდი. მომესალმა და უცებ ეს კომპლიმენტი.

***მიშო:*** არაფრის „ჩალიჩი" არ დამიგეგმავს. როგორც ჯგუფელები ჩვეულებრივ ვკონტაქტობდით. ამასობაში ოთხი თვე გავიდა.

***ნინო:*** ჯერ გავიცანით ერთმანეთი და მერე დავიწყეთ ახლო ურთიერთობა.

***მიშო:*** კარგად რომ გავიცანი, საკუთარ თავს მასთან ურთიერთობაში აღარ ვზღუდავდი, არ ვიძაბებოდი, როგორ მოვიქცე-მეთქი. როცა ისეთს გიღებენ, როგორიც ხარ, ბევრად მარტივად არის ყველაფერი.

***ნინო:*** მახსოვს, მიშო რომ გაივლიდა, გოგონები ერთ ამბავში იყვნენ. მე მაშინ არც ვფიქრობდი მიშოსთან ურთიერთობაზე. მაშინ ვერც ვგრძნობდი, რომ მოვწონდი.

***მიშო:*** ნინოს „ბაბნიკი" ვეგონე.

***ნინო:*** საერთოდ არ არის ასეთი ტიპი.

***primetimenews.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



გამოცდაზე სტუდენტი ბილეთს აიღებს – არ იცის. აიღებს მეორეს – არც ის იცის. მესამე, მეოთხე, მეხუთე... პროფესორმა გამოართვა ჩართვის წიგნაკი და „3“ დაუწერა. სხვა სტუდენტები აღშფოთდნენ:
– რატომ უწერთ ნიშანს?
– როგორ თუ რატომ? რადგან ეძებს, ესე იგი რაღაც მაინც იცის...

*****

– ალბათ, ყველაზე გვიან იუმორს ჟირაფები იგებენ, არა?
– არა, ბატონო – სახედრები!..

*****

თითოეულ ქალს ცხოვრების მანძილზე ორი საკითხი სტანჯავს:
1. როგორ იპოვოს ოცნების მამაკაცი?
2. შემდეგ რა მოუხერხოს ამ დამპალს?!

*****



– გუშინ პარლამენტი ახალ კანონს განიხილავდა – პედოფილებისა და ჰომოსექსუალების შესახებ.
– როგორ არ რცხვენიათ გაუთავებლად მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ზრუნავენ? ხალხს როდისღა უნდა მიხედონ?!

*****

კოტე სახედალურჯებული იღვიძებს, აშკარად გემოზეა ნაბეგვი. შეეშინდა, ვერ გაიხსენა, რა შეემთხვა და მამას ჰკითხა:
– რა მჭირს, ვინ მცემა?
– აბა, როგორ გითხრა, შვილო... გახეული მთვრალი მოხვედი და ხმა არ ამომიღია. არც მაშინ გაგეცი ხმა, როცა დედა მაგინე. არც იმაზე გითხარი არაფერი, დედაშენს რომ მისდექი და იმას აგინე. მაგრამ როცა ოთახის შუაგულში მოისაქმე, სანთელი ჩაარჭვე და გამოაცხადე: „ეს ზღარბი ჩვენთან იცხოვრებსო!“, თავი ველარ შევიკავე...

*****

– ჩემი და სულ გადაირია – ბიჭივით გამოეწყო და ჯარში წავიდა!
– რა სისულელეა?! მერე აბანოში ხომ ყველა დაინახავს და ვიღაც უეჭველი დააბეზღებს!
– რას ამბობ, ვინ დააბეზღებს...

*****

ტელეფონზე ზარია:
– გამარჯობათ! უკაცრავად, მორგში მოვხვდი?
– არა, არ მოხვდით, ჯერჯერობით მხოლოდ რეკავთ...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## პოლონეთში მთვრალი ბავშვი... დაიბადა



იცით, რას ვფიქრობთ? თუკი ეს ამბავი მოგონილია, მის ავტორს ტვინში მთლად კარგად ვერ უნდა ჰქონდეს საქმე, მაგრამ რომ დავფიქრდეთ, ვითომ, ნაკლები უცნაურობების შესახებ გავგიგია ხოლმე გადარეული მსოფლიოდან?
როგორც ირკვევა, პოლონეთში, კერძოდ კი სილეზიის ოლქის ერთ-ერთ სამშობიაროში მთვრალი ბავშვი დაიბადა.
უფრო რომ დავაზუსტოთ, ვადაზე ადრე დაბადებული ჩვილის სისხლში ალკოჰოლის 1,4 პრომილი აღმოაჩინეს.
ამ უცნაურობის მიზეზად ექიმები იმას ასახელებენ, რომ ბავშვის დედა ისეთი მთვრალი იყო, პირში ენას ვერ ატრიალებდა, რის გამოც მას კანონის წინაშე მოუწევს პასუხისმგებლობა.
იქაური მედიის ინფორმაციით, იმის გამო, რომ ბავშვი ნაადრევად დაიბადა და რესპირატორული დარღვევებიც აღენიშნებოდა, სპეციალურ ბლოკში მოათავსეს. რამდენად სერიოზული ზიანი მიაყენა დედამ ალკოჰოლის მიღებით, ჯერჯერობით უცნობია.

***etotupo.ru***

## ორსახიანი კატა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



ჯერ ჩვეულებრივი კატა რა არის, ახლა ორსახიანი და მახინჯი რომ იქნება!
ორსახიან კატას, თურმე, სახელად ფრენკი და ლუი ჰქვია და მან მართლაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა – სულ ახლახან შეუხედავი ცხოველი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.
ეს ორი „სათაური“ რაღა არისო, გაგვიკვირდა და ალბათ, ასე იმიტომ ჰქვია კატას, ორი სახე რომ აქვს.
ყოველ შემთხვევაში, ამის მიზეზი არ ზუსტდება. სამაგიეროდ, იმას გეტყვით, რომ შეუხედავი რეკორდსმენი მასაჩუსეტსის შტატში ვინმე მარტას სახლში ცხოვრობს, რომელმაც ითხოვა, პრესაში ჩემს გვარს ნუ გააჟღერებთ, რადგან მეშინია, ვინმე თავს არ დამესხასო.
მარტას მონათხრობიდან ირკვევა, რომ ფრენკი და ლუი მან 1999 წელს შეიკედლა, როცა ერთ-ერთ ვეტერინარულ კლინიკაში მედდად მუშაობდა.
ორსახიანი კატა კლინიკაში პატრონმა დასაძინებლად მიიყვანა, თუმცა მედდას ცხოველი შეეცოდა და მისი მოვლა გადაწყვიტა.
საინტერესოა, რომ ჩვეულებრივ, ასეთი ანომალიების მქონე ცხოველები დაბადებიდან მაქსიმუმ 4 დღე ცოცხლობენ, მაგრამ ფრენკი და ლუი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აგერ უკვე 12 წელს მიუკაკუნა.
ფრენკსა და ლუის ორ სახელთან ერთად, ორი პირი, ორი ცხვირი და სამი თვალი აქვს, თუმცა შუა თვალით ის ვერ ხედავს.

***lenta.ru***

## შეყვარებულებმა ქორწილის ხარჯების დასაფარად სპილენძის სადენები... მოიპარეს



თუ გახსოვთ, იყო დრო, როცა საქართველოში დიდი და პატარა ფერად ლითონს იპარავდა, რომ როგორმე ოჯახში პურის ფული მაინც შეეტანა. საბედნიეროდ, დღეს ასეთი შემთხვევები უკვე ძალიან იშვიათად ხდება. ბოლოს და ბოლოს, 100-ლარიანი პენსია დაუნიშნეს ჩვენს მოხუცებს.
აი, რაც შეეხება ამერიკას, იქ კიდევ ყოფილა საკმაოდ აქტუალური ფერადი ლითონების ქურდობა და ერთი უცნაური კრიმინალური ფაქტის შესახებ ახლავე მოგახსენებთ:
სულ რამდენიმე დღის წინ პენსილვანიის შტატის პოლიციამ შეყვარებულები – 24 წლის ეპრილ კეიტერი და 23 წლის ჯოზეფ რასელი დააპატიმრა, რომელთაც სპილენძის სადენების მოპარვა ჰბრალდებათ.
ახალგაზრდებს სპილენძი 18 ბოძიდან მოუპარავთ, რის შემდეგაც ნაქურდალის გაყიდვაც მოუსწრიათ და ფულის ქორწილის ხარჯების დაფარვა უნდოდათ, მაგრამ აქ უკვე ბედმა უმუხთლათ, რადგან პოლიციამ ორივე დააკავა.
გამოძიებამ დაადგინა, რომ ქორწილამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ახალგაზრდები ფულის გარეშე დარჩნენ. ბევრი ფიქრის შემდეგ ისინი დანაშაულზე წავიდნენ და 7 ათას 146 აშშ დოლარის სპილენძი მოიპარეს.
რა ბედი ელით შეყვარებულებს, აღარ ზუსტდება.

***rokf.ru***

## ჰიტლერს სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოწერილი ჯარიმის გადახდისთვის თავი აურიდებია



ცოტა ხნის წინ გერმანიის ხელისუფლებამ ამ დრომდე უცნობი ქვითარი გამოაჩინა, რომელიც ჰიტლერისთვის ავტომობილით მოძრაობისას სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოუწერიათ.
ქვითარი 1931 წლის 19 სექტემბრითაა დათარიღებული და მას ხელს აწერს პოლიციის ოფიცერი, გვარად პრობსტი.
პრობსტს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა ინგოლშტადტში დაუფიქსირებია: „მერსედესის“ მარკის ავტომობილი 55,3 კილომეტრ/საათის სიჩქარით მოძრაობდა, ანუ სიჩქარე კანონით დაშვებულზე ორჯერ მეტი იყო.
გერმანული მედიის ინფორმაციით, სიჩქარის გადაჭარბება ოფიცერმა წამმზომის დახმარებით დააფიქსირა და დამრღვევი მაშინვე გააჩერა.
ჰიტლერმა ოფიცერთან საუბრისას კატეგორიულად უარყო, რომ საჭესთან თავად იჯდა და განაცხადა, რომ ავტომობილს მისი მძღოლი მართავდა, რომელსაც სიჩქარის მომატება კი ნამდვილად უბრძანა, თუმცა რატომ, აღარ ზუსტდება.
ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი ჰიტლერის ახლო ნათესავის თვითმკვლელობა იყო, რომელიც იმ დროისთვის ფიურერის სახლში ცხოვრობდა.

***inopressa.ru***

## ქირურგის შეცდომამ პაციენტს თვალების დახუჭვის შესაძლებლობა მოუსპო



წარმოიდგინეთ, როგორი პრობლემები შეიძლება შეუქმნას ექიმის არაპროფესიონალიზმმა ადამიანს! შეიძლება ვინმეს ეს ინციდენტი კურიოზულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ სასაცილოდ ნამდვილად არ აქვს საქმე 40 წლის დინორა როდრიგესს ლოს-ანჯელესიდან.
როგორც ირკვევა, დინორა როდრიგესი, რომელსაც მკერდსა და თვალის მიდამოებში სილიკონის იმპლანტანტების შეცვლის ოპერაცია უტარდებოდა, პლასტიკური ქირურგის უპატიებელი შეცდომის მსხვერპლი გახდა – ის ვერც ერთ თვალს ველარ ხუჭავს.
ქირურგს მკერდის ოპერაცია კი უშეცდომოდ ჩაუტარებია, მაგრამ რად გინდა – აბა, ვის რაში სჭირდება მუდმივად თვალებგადმოკარკლული ქალი, როგორი ლამაზი მკერდიც არ უნდა ჰქონდეს?!
ყველაზე ტრაგიკული ამ ისტორიაში ის არის, რომ 40 წლის დინორა როდრიგესს ვერავითარი ოპერაცია ველარ უშველის და სიცოცხლის ბოლომდე ასეთი უცნაური და საშინელი ნაკლი ექნება.
როგორ მოახერხებს იგი დაძინებს, თუ თვალებს ვერ ხუჭავს, ამაზე რატომღაც, არავინ არაფერს ამბობს, თუმცა ის კი ცნობილია, რომ პლასტიკური ქირურგის მსხვერპლი იძულებულია, თვალში მუდმივად წამალი ჩაიწვეთოს, რათა მხედველობის ორგანო არ დაუშრეს.

***medkarta.com***

## ეპიდემიოლოგები გაყინული პროდუქტების მავნებლობის შესახებ გვაფრთხილებენ



აბა, ის რომ იცოდნენ ამერიკელმა ეპიდემიოლოგებმა, გაყინული ხორცის ბიზნესი როგორ ყვავის საქართველოში, სანამ ამ გაფრთხილებას გამოაქვეყნებდნენ, ჯერ იმაზე იზრუნებდნენ, უფასო ნიშადური მაინც დაერიგებინათ ჩვენთვის. რატომ და იმიტომ, რომ შიშისა და ნერვიულობის ფონზე გონებას თუ დავკარგავდით, ვინმე მოგვასულიერებდა მაინც.
მოკლედ, ამერიკელი ეპიდემიოლოგები მთელ მსოფლიოს აფრთხილებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაყინული პროდუქტების ნდობა. მაქსიმუმ შეიძლება გაყინული პროდუქტის გამოყენება, სანამ მას ვარგისიანობის ვადა არ ამოეწურება.
ასეთ გაფრთხილებას ამერიკელი სპეციალისტები იმ მიზეზით იძლევიან, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, როცა პროდუქტი მაცივარში დევს, განუსაზღვრელი დროით შეიძლება მათი შენახვა.
– ზოგადად, ვადაგასული პროდუქტია ძალიან სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ თუკი ის დიდი ხნის მანძილზე იყინებოდა, საფრთხე 80 პროცენტით მატულობს, – განმარტავენ ამერიკელი ეპიდემიოლოგები.
მათივე თქმით, სავსებით შესაძლებელია, გაყინული პროდუქტი ისეთი უმძიმესი დაავადების გამომწვევი მიზეზიც კი გახდეს, როგორიც კიბოა.

***mndg.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. მსახიობი ვანიკო ...
2. ძალიან მცირე, ასე ...
3. ნახშირმჟავას მარილი
4. მსახიობი ... ლიოტა
5. ახალი ზელანდიის მკვიდრი
6. თამაში ვოლანით
7. უქორწო თუთიყუში
8. ეთიოპიის დედაქალაქი
9. კომპოზიტორი ... პაულსი
10. მაკედონელის ცხენი
11. მავნე აირისაგან დამცავი
12. გეომეტრიული ფიგურა
13. ჰომეროსის პოემა
14. ცელქი
15. მტაცებელი ფრინველის ფრენა
16. ქურციკი
17. გამის ნოტი
18. შხამიანი მწერი
19. „ფაუსტის“ პერსონაჟი
20. რით მოკლა დავითმა გოლიათი
21. სარეველა ბალახი
22. მგალობელი ფრინველი
23. მეფის ვაჟი
24. ვულკანი სიცილიაზე
25. „... პიტკინი სახელმწიფოში“
26. მომღერალი ... ხალვაში
27. ბეთჰოვენის ოპერა
28. ვულკანური მასა
29. კუდმაკრატელა ფრინველი
30. რამაზ გიორგობიანი ფილმში
31. მწერალი არტურ კონან ...
32. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
33. ღია მიშენება შენობაზე
34. ყაიმი
35. ვირისა და ცხენის ნაშიერი
36. ნივთიერება თამბაქოში
37. ახლანდელი დრო (გრამატ.)
38. მონეტების შემგროვებელი
39. კაზინო
40. დუმბაძე. „მზიანი ...“
41. რგოლოვანი პარაზიტი ჭია
42. ჩინეთის დედაქალაქი
43. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
44. იტალიის დედაქალაქი
45. ქალაქ-სახელმწიფო აზიაში
46. ომლეტი
47. კალათბურთელი ... ონილი
48. თვითმკვლელობა
49. დიდი ჩაქუჩი
50. მსახიობი ... გარბო
51. ლენონის ქვრივი
52. გიორგი საავაძის სოფელი
53. თევზის წვნიანი
54. მარყუჟი
55. ქალაქი ავსტრიაში
56. დროშა
57. მეგობრული შარჟი
58. ის, ვინც ნალებს აჭედებს
59. მხ/ფ „... ბიჭები“
60. შალის საპალტოე ქსოვილი
61. მომღერალი ... მინოუგი
62. ციფრი
63. ნივრების ასხმა
64. გიტარის მავთული
65. საგანგებო დავალება
66. მსახიობი ... ბანდერასი
67. მსახიობი ... კერი
68. მოსამართლის მოსასხამი
69. ლომოურის მოთხრობა
70. დიდი საწარმო
71. კონტინენტი
72. ინდური კაბა
73. რა ქვეითდება შიდსის დროს
74. დაბალფასიანი
75. მომღერალი პატრიცია ...
76. წელიწადი 366 დღით
77. მდინარე კახეთში
78. გამსახურდიას მოთხრობა
79. ანდრომედას ...
80. კურორტი ბორჯომთან
81. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
82. მსახიობი კრისტოფერ ...
83. საავადმყოფოს ოთახი
84. მარცვლოვანი მცენარე
85. მიმართვა ქალისადმი სკანდინ.
86. ვერდის ოპერა
87. ქალაქი იტალიაში
88. მსახიობი ... ჰეპბერნი
89. ისრაელის დედაქალაქი
90. მხედართმთავარი (ძვ.)
91. ქოხის განათება
92. ინტერნეტით პირდაპირ ყურება
93. მხ/ფ „კერკეტი ...“
94. ავტომრბოლელი ... ლაუდა
95. ..., ანუ გველის სოკო
96. ელვის პრესლის ჟანრი
97. მსახიობი ... დრიუ
98. მსახიობი ... ჟირარდო
99. თიხის ჭურჭელი სითხისთვის
100. ჩრდილოეთის ირემი
101. ... კინოს ლამაზმანი
102. მსახიობი ჯორჯ ...
103. მეფის მრჩეველი
104. მირაჟი: ფატა-...
105. ვერცხლისწყლის ნაერთი
106. ხვეწნა
107. არგენტინული ჩაი
108. ქალაქი პოლონეთში
109. ნორვეგიის დედაქალაქი
110. ოპერა „ევგენი ...“
111. მწერალი ანდრე ...
112. მსახიობი მელ ...
113. სავაჭრო პლაკატი
114. რეჟისორი ... დოლობრიჯე
115. სოფელი რაჭაში
116. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
117. შვიდი დღე
118. ერთ-ერთი თითი
119. თეთრი მინერალი ცარცი
120. მდინარე ორინოკოს ველი
121. საგალობელი ... მარია
122. კურორტი თურქეთში
123. მსახიობი ... ელიავა
124. სვეტის ფორმის ძეგლი
125. რას ასრულებს მსახიობი
126. პოეტი ... მიცკევიჩი
127. კურორტი ბაღდათის რაიონში
128. იანის საპირისპირო
129. მწერალი ... ქიაჩელი
130. მისი დედაქალაქი ლონდონი
131. „არგოს“ კაპიტანი
132. ბულგარეთის ფულის ერთეული
133. ... ნასრედინი
134. მდინარე იტალიაში
135. რკინიგზა
136. ბერძ. ანბანის ასო
137. მსახიობი ... მონტანი
138. ხელოსნების გაერთიანება ძველად
139. ყველაზე მტკიცე მინერალი
140. ცეკვა მულენ-რუჟში
141. მდინარე ინდოეთში
142. [illegible]
143. ფრინველი. ახალი ზელანდიის სიმბოლო

პასუხები: 1. თარხნიშვილი; 2. მისხალი; 3. კარბონატი; 4. რეი; 5. მაორი; 6. ბადმინტონი; 7. არა; 8. ადის-აბება; 9. რაიმონდ; 10. ბუცეფალი; 11. აირწინალი; 12. რომბი; 13. „ილიადა“; 14. ანცი; 15. ირაო; 16. ნიამორი; 17. მი; 18. კელა; 19. მეფისტოფელი; 20. შურდული; 21. ანწლი; 22. იადონი; 23. უფლისწული; 24. ეტნა; 25. მისტერ; 26. სოფო; 27. „ფიდელიო“; 28. ლავა; 29. მერცხალი; 30. სერენადა; 31. დოილი; 32. გარიბალდი; 33. აივანი; 34. ფრე; 35. ჯორი; 36. ნიკოტინი; 37. აწმყო; 38. ნუმიზმატი; 39. სამორინე; 40. ღამე; 41. ასკარიდი; 42. პეკინი; 43. სან; 44. რომი; 45. სინგაპური; 46. ტაფამწვარი; 47. შაკილ; 48. სუეციდი; 49. ურო; 50. გრეტა; 51. ონო; 52. ნოსტე; 53. უხა; 54. ყულფი; 55. ზალცბურგი; 56. ბაირაღი; 57. კარიკატურა; 58. ნალბანდი; 59. ღიმილის; 60. დრაფი; 61. კაილი; 62. ნოლი; 63. გალა; 64. სიმი; 65. მისია; 66. ანტონიო; 67. ჯიმ; 68. მანტია; 69. „ქაჯანა“; 70. ქარხანა; 71. აფრიკა; 72. სარი; 73. იმუნიტეტი; 74. იაფი; 75. კაასი; 76. ნაკიანი; 77. იორი; 78. „ლილ“; 79. ნისლეული; 80. ლიკანი; 81. მარტინა; 82. რივი; 83. პალატა; 84. ბრინჯი; 85. ფრუ; 86. „რიგოლეტო“; 87. ტურინი; 88. ოდრი; 89. იერუსალიმი; 90. სპასალარი; 91. ილუმინაცია; 92. ონლაინი; 93. კაკალი; 94. ნიკი; 95. მერცხალი; 96. როკ-ენ-როლი; 97. ბერიმორი; 98. ანი; 99. სურა; 100. მარალი; 101. კლუნი; 103. ვეზირი; 104. მორგანა; 105. ამალგამა; 106. მუდარა; 107. მატე; 108. კრაკოვი; 109. ოსლო; 110. ონეგინი; 111. მორუა; 112. გიბსონი; 113. რეკლამა; 114. ლანა; 115. ირი; 116. ომეგა; 117. კვირა; 118. ნეკი; 119. ცარცი; 120. ლიანოსი; 121. ავე; 122. ანტალია; 123. ლია; 124. ობელისკი; 125. როლი; 126. ადამ; 127. საირმე; 128. ინი; 129. ლეო; 130. ინგლისი; 131. იაზონი; 132. ლევი; 133. მოლა; 134. პო; 135. ლიანდაგი; 136. სიგმა; 137. ივ; 138. ამქარი; 139. ალმასი; 140. კანკანი; 141. ინდი; 142. ავი; 143. კივი. იკითხება: ხოხობი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## უხსოვარ დროში ოქრო დედამიწაზე კოსმოსიდან „გვესტუმრა“?



შესაძლოა, ოქრო არამიწიერი წარმოშობის იყოს და მთელი მისი მარაგი დედამიწაზე კოსმოსიდან დაახლოებით 200 მილიონი წლის წინათ იყოს „ჩამოსული“.

აღნიშნული ჰიპოთეზის ავტორები ბრიტანელი მეცნიერები არიან.

კვლევის ფარგლებში მათ დეტალურად შეისწავლეს კლდეები გრენლანდიასთან ახლოს, რომელთა ასაკი თითქმის 4 მილიარდი წელია და სადაც დიდი რაოდენობით ოქროს მოიპოვებენ.

შედეგად სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ქანებში შედის ბევრი ისეთი მიკროელემენტი, რომლებიც თავიანთი შემადგენლობით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მოგვიანებით ჩამოყალიბებული ქანებისგან.

ექსპერტების აზრით, ეს შესაძლოა, იმას ნიშნავდეს, რომ ძვირფასი ლითონები დედამიწაზე არ დაბადებულა.

ამ მოსაზრების ავტორები ერთ-ერთ არგუმენტად უძველეს თეორიას ასახელებენ, რომლის თანახმადაც, 200 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე უზარმაზარი მეტეორიტი ჩამოვარდა, რომელმაც ხმელეთი სხვადასხვა მძიმე ლითონით გადაავსო.

*tainamira.ru*

## ზვიგენის ღვიძლი კაცობრიობას უნივერსალურ ანტიბიოტიკს აჩუქებს



ამ საშიში არსების სხეულში მეცნიერებმა უნიკალური შენაერთები აღმოაჩინეს, რომელთაც როგორც ამბობენ, ფარმაკოლოგიურ ბაზარზე ნამდვილი ფურორის მოხდენა შეუძლიათ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნივთიერებას ადამიანის ისეთი დაავადებებისგან გადარჩენა შეუძლია, როგორებიცაა ციებ-ცხელება, აღმოსავლური ენცეფალიტის ვირუსი, თაგვის ციტომეგალოვირუსი, ბე, ცე და დე ჰეპატიტები და ასე შემდეგ.

საუბარია ანტიბიოტიკზე, სახელწოდებით „სკვალამინი“, რომელიც მეცნიერებმა ზვიგენის ღვიძლში აღმოაჩინეს.

თავად ზვიგენებს ეს ნივთიერება არაერთი ვირუსისგან იცავს, რომლებიც ღვიძლსა და სისხლს უტევენ.

უნდა ითქვას, რომ სკვალამინი თანამედროვე მედიცინისთვის ცნობილი აქამდეც იყო, თუმცა ასეთი შესანიშნავი შედეგების მიღწევა თუ შეიძლებოდა მისი დახმარებით, მხოლოდ ახლაღა დადგინდა.

მოკლედ, ზვიგენი ადამიანებს ძალიან ბევრ კეთილ საქმეს გაუკეთებს, თუმცა ვეჭვობთ, ამ სიახლის გამო მათზე უდიდესი მასშტაბების ნადირობა დაიწყება და წითელი წიგნი გადაშენების პირას მისული კიდევ ერთი არსებით შეივსება.

*medkarta.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**3 ივლისი:** დღეს თქვენგან საიდუმლო არავის არ ექნება. არ იფიქროთ, რომ ეს კარგია, პირიქით, ათასგვარი აღიარებით შეგაწუხებენ, რაც სასიამოვნო მოსასმენი არ იქნება.

**კურო 22.04-21.05**
**3 ივლისი:** თუკი დღეს ვილაცაზე გახუმრების დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდათ, შეეცადეთ, ეს ისე გააკეთოთ, რომ ეჭვი თქვენზე არ მოიტანონ. სავალალო შედეგებია მოსალოდნელი.

**ტყუპები 22.05-21.06**
**3 ივლისი:** დღეს არ ღირს ვინმეს მიმართ რაიმე სახის პრეტენზიების წაყენება. დაგისაბუთებენ, რომ უსაფუძვლოდ ედავებით და ბოდიშის მოხდა მოგიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
თუ დღეს თქვენთვის კარგად ცნობილ ამბავს შეგახსენებენ, თავი მოიკატუნეთ, რომ არაფერი იცით. თქვენთვის ეს არაფერია, მას კი გაუხარდება, რომ ახალი ამბავი გამცნოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**3 ივლისი:** ამ დღის მოვლენები თქვენს სასარგებლოდ იმუშავებს, მთავარია, მოიფიქროთ, როგორ გამოიყენოთ თქვენი უპირატესობა. ფიქრზე დიდი დრო არ დახარჯოთ, სიტუაცია მალე შეიცვლება.

**ქალწული 23.08-22.09**
**3 ივლისი:** კონტაქტები მაქსიმალურად შეამცირეთ. ემოციურად ძალიან სუსტი იქნებით და თქვენს გარშემო ბევრი ადამიანის ყოფნას ძნელად გადაიტანთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**3 ივლისი:** შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ წააგეთ, მაგრამ ასე არ არის, ცოტა ხანს უნდა მოიცადოთ. დღეს ახალი არაფერი წამოიწყოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**3 ივლისი:** თქვენი ბრწყინვალე აზროვნება შეიძლება დღეს შეუმჩნეველი დარჩეს. რაც უფრო მეტად მოინდომებთ ყურადღების მიქცევას, მით ნაკლებ შედეგს მიიღებთ. ტყუილად ნუ იწვალებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**3 ივლისი:** გარშემომყოფებზე შთაბეჭდილების მოსახდენად დიდ ენერგიას ნუ დახარჯავთ. რომც არ მოინდომოთ, ისედაც შეგამჩნევენ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**3 ივლისი:** იმდენად ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი, პრაქტიკულად ყველა საქმეს გაუმკლავდებით. წარუმატებლობის შიშის არქონა ხანდახან ძალიან შველის ადამიანს.

**მერწყული 20.01-18.02**
**3 ივლისი:** მოემზადეთ იმ ნაყოფის მოსამკელად, რაც წინა კვირაში დათესეთ. ამ შედეგებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ განსაზღვროთ, როგორ იმოქმედოთ შემდგომში.

**თევზები 19.02-20.03**
**3 ივლისი:** ზედმეტად ამბიციური ტონით საუბრისგან თავი შეიკავეთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს მიღწევებზე საერთოდ ხმა არ უნდა ამოიღოთ.

## მკერდის კიბოსთან ბრძოლის დამხმარედ კაკალი დაასახელეს



მიღწევის ავტორები ამერიკელი მეცნიერები არიან. ჯერჯერობით კაკლის ზემოქმედება მხოლოდ მღრღნელებზეა გამოცდილი, თუმცა უახლოეს მომავალში ცდებში მონაწილეობას ადამიანებიც მიიღებენ.

ექსპერიმენტების ფარგლებში, კიბოთი დაავადებულ თაგვებს დაბადებიდან კაკლით კვებავდნენ. პროდუქტის რაოდენობა ადამიანის დღიური რაციონის 55 გრამის ეკვივალენტური იყო. მღრღნელების მეორე ჯგუფისთვის კი ჩვეულებრივი საკვები იყო განსაზღვრული.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ექსპერტებმა შედეგები გაახმაურეს: სარძევე ჯირკვლის კიბო პირველი ჯგუფის შემთხვევაში ორჯერ ნელი ტემპებით ვითარდებოდა. გარდა ამისა, პირველ ჯგუფში შემავალ თაგვებს გაცილებით მცირე ზომის სიმსივნური შეშუპებები გამოუვლინდათ.

კვლევის ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ადამიანის რაციონი უდიდეს როლს თამაშობს და რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია საკვებთან.

*pravda-net.ru*

## ფასტ-ფუდი დეპრესიისა და თვითმკვლელობის მიზეზიც ხდება?



მართლაც ძალიან ბევრი იწერება ხოლმე ფასტ-ფუდის უარყოფით შედეგებზე, მაგრამ ესპანელი სპეციალისტებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს, როცა ახალი კვლევის შედეგად შემაშფოთებელი დასკვნა გამოიტანეს.

ესპანელებს თუ დავუჯერებთ, ტრანს-ცხიმები, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ჰამბურგერები, კარტოფილი ფრი და იაფფასიანი ძეხვი, დეპრესიის პროვოცირებას იწვევს, ზოგ შემთხვევაში კი თვითმკვლელობის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

აღნიშნულ საკითხზე ესპანელი სპეციალისტები 6 წელი მუშაობდნენ და საერთო ჯამში, 12 ათასი ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს.

მთელი ამ ხნის მანძილზე 657 ადამიანს ძლიერმა დეპრესიამ ძალიან ბევრჯერ შეუტია, რისი მიზეზიც, როგორც კვლევის ავტორები ამტკიცებენ, სწორედ ტრანს-ცხიმებია.

რაც შეეხება სუიციდს, სიცოცხლე 200-მდე ადამიანმა მოისწრაფა.

ამდენად, სპეციალისტები კიდევ ერთხელ და კატეგორიულად გვირჩევენ: უარი ვთქვათ ძალიან საშიშ საკვებზე.

*lamaportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– ბავშვებო, როგორ გგონიათ, რომელია ყველაზე უფრო ეროტიკული რიცხვი?

კოტე ეგრევე წამოხტა:

– 21593, მასწ!

მასწავლებელმა გაოცებისგან პირი დააღო:

– და რატომ?

კოტე:

– ნუ, წარმოიდგინეთ, თუ ორი ერთ რაღაცაზე ფიქრობს, შემდეგ ყველაზე გვიან ხუთ კვირაში მაინც მიხვდებიან, რომ ცხრა თვის შემდეგ უკვე სამნი იქნებიან!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30